

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და წინადადებები  
საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარმოდგენილ კანონპროექტზე  
„საქართველოს ტყის კოდექსი“



გარემოსდაცვითი და სოციალური  
სამართლიანობისთვის  
საქართველოში

22 აპრილი, 2019

საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია კანონპროექტი „საქართველოს ტყის კოდექსი“ და მისი თანმდევი კანონპროექტები. „ტყის კოდექსის“ პროექტზე აქტიური მუშაობა „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის“ დამტკიცების შემდეგ დაიწყო. ამ დადგენილებით მიხედვით შემუშავებული კანონპროექტის - „საქართველოს ტყის კოდექსის“ ვერსიები აქამდე სამჯერ იყო გამოქვეყნებული (24. 12.2015, 08.04.2016, 24.01.2018) და გაიმართა საჯარო განხილვები<sup>2</sup>.

ახალი „საქართველოს ტყის კოდექსის“ მიღების მნიშვნელობა ძალზე დიდია. კანონმა უნდა განსაზღვროს, თუ როგორ იმართება მომავალი ათწლეულების განმავლობაში ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 40%. ამაზეა დამოკიდებული ქვეყნის უზრუნველყოფა სასიცოცხლო რესურსებით. ამაში არა მხოლოდ მოსახლეობის შეშითა და სამასალე მერქნით უზრუნველყოფა, არამედ ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარებაც (სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, კომუნალური სექტორი, ტურიზმი, რეკრეაცია და სხვ.) იგულისხმება. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ტყის ისეთი ფუნქციები, როგორებიცაა კლიმატისა და წყლის ხარისხის რეგულაცია, მიწის ნაყოფიერება, სტიქიური მოვლენებისგან მოსახლეობის დაცვა და პრევენცია, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და სხვ.

წარმოგიდგინთ შენიშვნებსა და კომენტარებს საქართველოს პარლამენტში (საკომიტეტო განხილვებისთვის) შეტანილ კანონპროექტზე „საქართველოს ტყის კოდექსი“. მასში განხილულია კანონპროექტის დადებითი მხარეები და პრობლემები, მოცემულია რეკომენდაციები ამ პრობლემების გამოსწორების კუთხით, რათა: 1) ხელი შეუწყოს ტყის მდგრად მართვას, ტყის ეკოსისტემების შენარჩუნებას და რესურსების რაციონალურ გამოყენებას; 2) კანონპროექტი შესაბამისობაში მოვიდეს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს ეროვნულ სატყეო კონცეფციასთან“, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ “2014-2020 წლების ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და გეგმასთან” და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებთან.

წინამდებარე დოკუმენტში თავიდან მოცემულია ზოგადი ხასიათის კომენტარები; მომდევნო ნაწილში მოცემულია შენიშვნები და კომენტარები კანონპროექტის მუხლების მიხედვით.

### ზოგადი ხასიათის კომენტარები

<sup>1</sup>დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 11 დეკემბრის N1742-III დადგენილებით

<sup>2</sup> მწვანე ალტერნატივამ მოამზადა და გამოაქვეყნა შენიშვნები და წინადადებები სამივე მათგანთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

ს

თბილისი, 0179, საქართველო  
ვალთაშვილის ქ. 27/29, II სართ.  
ტელეფონი: (995 32) 229 27 73  
ფაქსი: (995 32) 222 38 74  
ელ.ფოსტა: [greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org)  
ვებ-გვერდი: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

„ტყის კოდექსის“ პროექტისა და მისი თანამდევი კანონპროექტების დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოსაჩენად და ამ უკანასკნელთა აღმოსაფხვრელად, საჭიროა ის განხილული იქნას „ეროვნულ სატყეო კონცეფციასთან“ შესაბამისობის კუთხით, კონცეფციის მიზნის, მისი ძირითადი პრინციპების, პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით (როგორებიცაა: ტყის მდგრადი მართვა; მართვის დაგეგმვა; ტყის კატეგორიზაცია; მდგრადი ტყითსარგებლობა; საკუთრების, მართვის და სარგებლობის უფლებები, განათლება და მეცნიერება, საზოგადოების ჩართულობა). ამით გაგვიადვილდება განვსაზღვროთ, თუ რამდენად ადეკვატურად პასუხობს ახალი კანონპროექტი ეროვნულ სატყეო კონცეფციაში გამოკვეთილ პრობლემებს.

„ეროვნულ სატყეო კონცეფციისა“ და „ტყის კოდექსის“ პროექტის ძირითადი მიზანია **ტყის მდგრადი მართვის უზრუნველყოფა**. წარმოდგენილი კანონპროექტით შემოთავაზებული სიახლეებიდან აღსანიშნავია ორი მექანიზმი - ტყის კატეგორიზაცია და ტყის აღრიცხვა, რომლებიც ჩვენის აზრით, ხელს შეუწყობენ ტყის მდგრად მართვას. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ გაუმჯობესებულია „ტყის“ განმარტება და გაუქმებულია ტერმინი/ცნება „ტყის ფონდი“.

ტყის კატეგორიზაციის სისტემა მეტწილად შეესაბამება „ევროპის ტყეების“<sup>3</sup> კლასიფიკაციას, რომლის თანახმად, ტყეები დაჯგუფებული არიან მათი მართვის ძირითადი ამოცანის შესაბამისად. ამ სიახლის დანერგვა სატყეო სექტორის მარეგულირებელ კანონმდებლობაში მთლიანად შეესაბამება ტყის მდგრადი მართვისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნულ მიზნებსა და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებს, მათ შორის: „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციას“<sup>4</sup> და „საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმა 2014-2020“<sup>5</sup>-ს, „ევროპის ტყეების“ ინიციატივებსა და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებებს<sup>6</sup>. ეს უდავოდ პროგრესული და გადაწყვეტილებაა, რადგან დღეს არსებული კატეგორიზაციის სისტემა (1999 წლის ტყის კოდექსი და მისი კანონქვემდებარე აქტები) ძალზე არაეფექტურია, რაც ხელს უშლის ტყის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და რესურსების გონივრულ გამოყენებას.

წარმოდგენილ კანონპროექტში კვლავ რჩება ხელშესახები ხარვეზები, რომელთა გამოსწორების მიმართულებით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ არ გასწია საკმარისი ძალისხმევა, თუმცა კანონპროექტის პირველი ვერსიის გამოქვეყნებიდან ოთხი წელი გავიდა და ამ პრობლემის შესახებაც არაერთხელ აღინიშნა ამ პერიოდის განმავლობაში. ტყეების კატეგორიზაცია/კატეგორიები, რომელიც მოცემულია კანონპროექტის საწყის ნაწილში, შინაარსობრივად არასაკმარისად არის დაკავშირებული კანონპროექტის მომდევნო ნაწილებში მოცემულ რეგულაციებთან (თავი III „ტყის აღრიცხვა და დაგეგმვა“, ხოლო ზოგიერთი თავი კი კატეგორიზაციის და შესაბამისად, ტყის მდგრადი მართვის პრინციპთან წინააღმდეგობაშიც კი მოდის: თავი V „ტყით სპეციალური სარგებლობა“, თავი VI „სამეურნეო ჭრით ხე-ტყის დამზადება“, თავი XVIII „ტყის მოვლა“ და სხვ.) კანონპროექტის პირველი თავი, სადაც განცხადებულია, რომ ახალი კოდექსი ტყის მდგრად მართვას

<sup>3</sup> „ევროპის ტყეების“ კლასიფიკაცია - „ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის“ (MCPFE) – „ევროპის ტყეების“ (Forest Europe), ვენის მეოთხე მინისტრიალის მე-4 რეზოლუციით („ევროპის ტყეების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგომარეობის გაუმჯობესება“) განსაზღვრული ტყეების კლასიფიკაცია. MCPFE-ის თითოეულ კლასს შეესაბამება ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების კატეგორია, რომელიც გამოყენებულია საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის დაგეგმვისა და მართვისას; ასევე ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) კატეგორიას და გამოიყენება „ნატურა 2000“ და „ზურმუხტის ქსელის“ ტერიტორიების გამოყოფისა და მართვისას

<sup>4</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება N1742-III, 11.12.2013

<sup>5</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება N343, 08.05.2014

<sup>6</sup> ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება და საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა

შეუწყობს ხელს, დეკლარაციულად დარჩება, თუ კოდექსის მომდევნო თავებში, რომლებშიც ტყის მართვის პრაქტიკული მექანიზმები/რეგულაციებია მოცემული, უგულვებელყოფენ ტყის მდგრადი მართვის მექანიზმებს და პრაქტიკულად არანაირ სიახლეს არ შემოგვთავაზებენ 1999 წლის კოდექსთან შედარებით. (იხ. ქვემოთ შენიშვნები „ტყით სპეციალური სარგებლობასთან“, „სამეურნეო ჭრით ხე-ტყის დამზადებასთან“, „ტყის მოვლასთან“ დაკავშირებით).

ტყის ეროვნული აღრიცხვა (ეროვნული ინვენტარიზაცია) ძალზე მნიშვნელოვანი პროცესია, მაგრამ კოდექსში არ არის სათანადოდ განმარტებული (არც ტერმინთა განმარტებაში და არც შესაბამის, 24-ე მუხლში). მართალია, ამ მუხლში საუბარია იმაზე, რომ საკითხის დასარეგულირებლად მიღებული უნდა იქნას ნორმატიული აქტი, მაგრამ არსად წერია, რას უნდა მოიცავდეს ეს აქტი. კანონპროექტი ვერ ასრულებს ამ მარეგულირებელი ნორმატიული აქტის ჩარჩოს ფუნქციას.

ტყის მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად მხოლოდ ზემოხსენებული ორი ახალი მექანიზმი (კატეგორიზაცია და აღრიცხვა) არ არის საკმარისი, მით უმეტეს, როცა ასეთი არასრულყოფილი სახით არის წარმოდგენილი. კანონპროექტით არ არის განსაზღვრული ტყის მდგრადი მართვისათვის ისეთი აუცილებელი საკითხები, როგორებიცაა, მაგალითად, **ტყის მდგრადი მართვის პრინციპები და ინდიკატორები**, (ან მათი შემუშავების აუცილებლობა) და უგულვებელყოფილია **ტყის სერტიფიცირება**, თუმცა „ეროვნული სატყეო კონცეფციის“ მიხედვით, ეს რეგულაციები მექანიზმები მოცემული უნდა ყოფილიყო ტყის კოდექსში.

„ეროვნული სატყეო კონცეფციის თანახმად“, მთავრობის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს მიეკუთვნება „საქართველოს ტყის ფონდის მართვის უზრუნველყოფა სათანადო სახელმწიფო ზედამხედველობით და შესაბამისი სტანდარტებით, კერძოდ, ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის („ევროპის ტყეები“) მიერ დამტკიცებული ტყის მდგრადი მართვის საოპერაციო სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად“. „ტყის მდგრადი მართვა“ - ტყის მდგრადი მართვის ინდიკატორების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრის გარეშე - კეთილ სურვილად ან ფიქციად დარჩება.

ასევე „ეროვნული სატყეო კონცეფციის თანახმად“, ტყის მდგრადი მართვის მისაღწევად განსახორციელებელ ერთ-ერთ ქმედებას წარმოადგენს **ტყის ნებაყოფლობითი და დამოუკიდებელი სერტიფიცირების** მხარდაჭერა. კონცეფციით განსაზღვრული „ტყის სერტიფიცირების ეროვნული სტანდარტი“ უკვე შემუშავებულია სპეციალური ჯგუფის მიერ (ჯგუფში შედიოდნენ არასამთავრობო და სამეცნიერო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და სახელმწიფო ინსტიტუციების წარმომადგენლები). ის აღიარებულია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, როგორიცაა ტყის მეურვეობის საბჭო (Forest Stewardship Council). კონცეფციაში აღნიშნულია „ტყის ნებაყოფლობითი სერტიფიცირების ხელშეწყობა ტყის მართვის განმახორციელებელი სახელმწიფო უწყებების ამოცანა უნდა გახდეს“. კანონპროექტიდან ჩანს, რომ პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრული ამ ქმედებების განხორციელებაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უარს ამბობს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

კანონპროექტში ასევე არაფერია ნათქვამი მდგრადი მართვისა და დაგეგმვის ისეთი მექანიზმის გამოყენების შესახებ, როგორიცაა **სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება**.

**გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა/მონაწილეობა** ტყის მდგრადი მართვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი კომპონენტია. სამწუხაროდ, კანონპროექტში საზოგადოების ჩართულობასთან დაკავშირებული საკითხი ძალზე ზედაპირულად არის მოცემული და მნიშვნელოვან გადამუშავებას საჭიროებს. საზოგადოების ფართო ჩართულობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას ტყის მართვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპზე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით. ერთი

წლის წინ საჯარო განხილვებისთვის წარმოდგენილ ვერსიასთან შედარებით, პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული რეგულაციები: მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საჯარო განხილვებისთვის წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, საჯარო ადმინისტრაციული წესით წყდებოდა, წინამდებარე კანონპროექტის მიხედვით წყდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით (საქართველოს ტყისათვის სტატუსის შეწყვეტა, ტყის მართვის გეგმის დამტკიცება, ტყით განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭება). არის სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც, რომლებიც საზოგადოების მომატებული ინტერესის საგანს წარმოადგენს, მაგრამ კანონპროექტის ავტორები გაუმჭვირვალე, არასაჯარო წესს გვთავაზობენ (მარტივი ადმინისტრაციული წარმოება) და უარყოფენ საზოგადოების ინფორმირების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და შესაბამისად, კორუფციის აღმოფხვრის მექანიზმებს. ასეთ გადაწყვეტილებებს განეკუთვნება: ტყის სტატუსის მინიჭება და გაუქმება, ტყითსარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება (ტყითსარგებლობის აუქციონები). ეს უკანასკნელი მოქმედ ტყის კოდექსში უკეთესადაა მოცემული, ვიდრე განსახილველად წარმოდგენილ კანონპროექტში. ასეთმა ხარვეზები მომავალში საზოგადოების მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვის საბაზი გახდება და ამასთანავე კორუფციისთვის ნაყოფიერ ნიადაგს შექმნის.

კანონპროექტში ძალზე ბუნდოვანი და გაურკვეველია „ტყის მართვის ორგანოს“ საკითხი. ამ თვალსაზრისით კანონპროექტი არ შეესაბამება „ეროვნული სატყეო კონცეფციის“ ერთ-ერთ ძირითად პრინციპს - „პოლიტიკის, მართვის და ზედამხედველობის ფუნქციების გამიჯვნა“.

დღევანდელი კანონმდებლობით, საქართველოს ტყეებს მართავენ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოები (დაცული ლანდშაფტები და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები), სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო. კანონპროექტში ე.წ. „ტყის მართვის ორგანოში“ მხოლოდ ის ორგანიზაცია იგულისხმება, რომელიც მომავალში ჩაიბარებს მხოლოდ სსიპ ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებულ ტყეებს. კანონპროექტის თანახმად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო გარდაიქმნება სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით შექმნილ კერძო სამართლის იურიდიული პირად. თუმცა, კანონპროექტიდან არ არის გასაგები, რა სამართლებრივ ფორმას განეკუთვნება „ტყის მართვის ორგანო“. დამატებით განმარტებას მოითხოვს, რა ქმედებების განხორციელება ვერ ხერხდება, როდესაც ტყის მართვის სახელმწიფო ორგანოს სამართლებრივი ფორმა არის სსიპ და რა პრობლემას მოაგვარებს ახალი სამართლებრივი ფორმა. ბოლო პერიოდში „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ მთავრობის დადგენილებაში (N242) შეტანილი ცვლილებების თანახმად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს პრაქტიკულად ყველანაირი სამეურნეო და კომერციული საქმიანობის უფლება მიენიჭა. მხოლოდ ერთ-ერთი თანამდევ კანონპროექტის - „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ - განმარტებით ბარათში არის ნახსენები, რომ ახალი ფორმა 10 წლიან პერიოდში 284 მილიონი ლარის საბიუჯეტო შემოსავლების მოიტანს, ხოლო სსიპ - მხოლოდ 38 მილიონს. თუმცა, არ ჩანს, როგორ იანგარიშეს ეს ოდენობები, რის გამოც ისინი ნაკლებად სარწმუნოა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ კანონპროექტი შექმნილია მხოლოდ ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის, ვინაიდან არაფერია ნათქვამი, თუ რა სამართლებრივი ფორმა იქნება არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტყეების, თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტყეებისა და თბილისის მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებულ ტყეებისთვის.

კანონპროექტიდან არ ჩანს, რომელი უწყება ახორციელებს ტყის მართვის ორგანოს ზედამხედველობას და მონიტორინგს. არ არის ნათელი, ვის კომპეტენციას წარმოადგენს ტყის მართვის გეგმების შესრულების მონიტორინგი.

ავტონომიური რესპუბლიკების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტყის მართვის ორგანოები რჩებიან საქმიანობაზე სამართლებრივი და დარგობრივი კონტროლის გარეშე, რაც მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება „ეროვნული სატყეო კონცეფციის“ ძირითად პრინციპს - პოლიტიკის, მართვის და ზედამხედველობის ფუნქციების გამიჯვნა.

კანონპროექტის ერთ-ერთი პრობლემური ნაწილია **ტყეზე საკუთრების უფლების საკითხი - ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებებისა და კომპეტენციების ჭრილში**. კანონპროექტის აქამდე ცნობილი, საჯარო განხილვებისთვის წარმოდგენილი ვერსიები, მნიშვნელოვნად განსხვავდება პარლამენტში წარდგენილი ვერსიისაგან, სამწუხაროდ - გაუარესების მიმართულებით. კანონპროექტის წინა ვერსიის თანახმად, შესაძლებელი იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ საზღვრებში არსებული სახელმწიფო ტყე მართვის უფლებით გადასცემოდა შესაბამის მუნიციპალიტეტს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტიდან საერთოდ ამოღებულია ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის ტყის გადაცემის საკითხი. რამდენიმე მუხლში მოხსენიებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტყეები, რომლის მართვაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება. თუმცა გაუგებარია, რა ფორმით აქვს ეს ტყეები გადაცემული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს (საკუთრება თუ მართვა). გაუგებარია, საკუთრების რა ფორმას წარმოადგენს დაცული ლანდშაფტების (მაგ. თუშეთის დაცული ლანდშაფტის) და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიების (დღევანდელი მდგომარეობით - ფშავ-ხევსურეთისა და ჯავახეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიების) ტყეები.

კანონპროექტი ეწინააღმდეგება „ეროვნულ სატყეო კონცეფციას“, სადაც აღნიშნულია, რომ ტყის მდგრადი მართვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია „ყველა ტყე ადგილობრივია“. იქვე აღნიშნულია, რომ ტყის მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე, ხოლო დაინტერესებულ მხარეებს პროცესში ეფექტიანი მონაწილეობისთვის შესაბამისი უფლებამოსილებები უნდა ჰქონდეთ. აღიარებული და მხარდაჭერილი უნდა იქნეს ტყიან ტერიტორიებზე მოსახლე თემების იდენტურობა და კულტურა, აგრეთვე ტყითსარგებლობისა და ტყის შენარჩუნების ტრადიციული ცოდნა.“ კონცეფციის მიხედვით, სატყეო სექტორში არსებულ ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ის საკითხი, რომ „სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობის გამო მას ტყე არ გადასცემია“. თუმცა, ახალი ტყის კოდექსი არაფერს არ გვთავაზობს ადგილობრივი თვითმმართველობის გამდიერების კუთხით. პირიქით, კოდექსის ამ სახით ძალაში შესვლა ადგილობრივი თვითმმართველობებს კიდევ უფრო დაასუსტებს. კონცეფციაში ასევე აღნიშნულია: „ტყის საკუთრების სტრუქტურისა და ტყის მართვისათვის პასუხისმგებლობის გადანაწილების ან შეცვლის შედეგად შესაძლებელია გამდიერდეს ტყის დაცვა, ხოლო ტყის მართვა გახდეს უფრო მდგრადი, თუ მასში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი თემები და სხვა დაინტერესებული მხარეები; თუმცა ტყის საკუთრების სტრუქტურისა და ტყის მართვისათვის პასუხისმგებლობის ნებისმიერი ცვლილება საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი“.

ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის ტყის გადაცემის საკითხის გადაწყვეტისას, გასათვალისწინებელია შედეგი გარემოებები: ქვეყანაში (როგორც მუნიციპალიტეტებში, ისე სამინისტროს/ეროვნული სატყეო სააგენტოს ცენტრალურ აპარატსა და მის რეგიონულ

წარმომადგენლობებში) არ არსებობს საკმარისად ტყის მდგრადი მართვისათვის საკმარისი ადამიანური და ტექნიკური რესურსი; დღევანდელ მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ ტყის მართვის გამოცდილება. ამის გამო, დაუყოვნებლივ ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისათვის ტყეების გადაცემა არ იქნება მიზანშეწონილი.

თუმცა, წარმოდგენილი კანონპროექტები (ტყის კოდექსი, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებები) საერთოდ სპობენ ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის ტყის გარკვეული ნაწილების მომავალში გადაცემის პერსპექტივას. ამით კანონპროექტი წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის გაცხადებულ დეცენტრალიზაციის კურსთან და „ეროვნულ სატყეო კონცეფციასთან. ამასთანავე, ეს გარემოება ხელს შეუშლის მომავალში ევროკავშირის მხრიდან მნიშვნელოვანი ინვესტიციების შემოსვლას - სოფლის მეურნეობის, სოფლად მცხოვრები მოსახლეობისა ტყის რესურსების მდგრადი გამოყენების მიმართულებით.

კანონპროექტში აუცილებლად უნდა შეიცვალოს ამ კუთხით და გაჩნდეს ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ტყის ნაწილის გადაცემის შესაძლებლობა; თუმცა ამასთანავე აუცილებელია, რომ განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ტყის ნაწილის გადაცემის წინაპირობები, რათა ეტაპობრივად შეიცვალოს ტყეების უკანონო და არამდგრადი გამოყენების პრაქტიკა, ზეწოლა შემცირდეს სოფლებთან ახლოს მდებარე ტყეებზე და უზრუნველყოფილი იქნას ტყეებში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება.

კანონპროექტის მიხედვით, პრაქტიკულად უქმდება **ტყის პრივატიზაციის შესაძლებლობა**. სახელმწიფო ტყის გადაცემა შესაძლებელი ხდება მხოლოდ სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. აღნიშნული სახით საკითხის დასმა პირველ პირში უხერხულ მდგომარეობაში აგდებს საქართველოს საპატრიარქოსა და მთავრობას. კანონპროექტიდან გაუგებარია, რატომ არ უნდა გადაეცეს სახელმწიფო ტყე სხვა სსიპ-ებს, მაგალითად უნივერსიტეტებს, სპორტულ ფედერაციებს ან სხვა რელიგიურ კონფესიებს. ამ მუხლის ასეთი სახით მიღება მომავალში შესაძლებელია საკონსტიტუციო სარჩელების საფუძველი გახდეს. განმარტებით ბარათებში არ არის ახსნილი ან საკითხთან დაკავშირებული დეტალური განმარტებები, მათი დამოკიდებულება საქართველოს კონსტიტუციასთან და საკონსტიტუციო შეთანხმებასთან.

საქართველოს საპატრიარქოსათვის იმ ტყეების გადაცემა, რომელიც ამჟამად მიჩენის წესით არის გადაცემული, ასევე სხვა ეკლესია-მონასტრების გარშემო არსებული 20 ჰექტარამდე ფართობების გადაცემა (იხ. თანდართული კანონპროექტი „სახელმწიფო ქონების მართვის შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე“) სწორი გადაწყვეტილებაა. თუმცა ეს არ უნდა მოხდეს იმგვარად, რომ შეილახოს სხვათა უფლებები. თუმცა პრობლემების მოგვარება შესაძლებელია კანონპროექტში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში (იხ. ქვემოთ ჩვენი მუხლობრივი შენიშვნები).

კანონპროექტში 1999 წლის კოდექსიდან გადმოსულია არაერთი საკითხი, რომელიც ეწინააღმდეგება კანონპროექტის მიზანს (ტყის მდგრად მართვას), ეროვნულ სატყეო კონცეფციას და ზოგადად, **ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს**. ასეთებს განეკუთვნება „ტყის სახეობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება“. საკვანძო საკითხების შემთხვევაში კვლავ არჩევანი კეთდება საბჭოთა პერიოდის მართვის სტილზე. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა საბჭოთა „ტყეთმოწყობის“ (ე.წ. лесостроительство) გადმოტანა, ნაცვლად თანამედროვე „ტყის ინვენტარიზაციისა“. სამწუხაროა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის შესამუშავებლად უცხოელი დონორების სახსრები იყო გამოყოფილი (ალბათ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე „ძვირი“ კანონპროექტი საქართველოში), მაინც ძირითადად საბჭოთა მეტყვეობის გამოცდილების მქონე ექსპერტების რჩევით ისარგებლა სამინისტრომ.

მით უმეტეს, რომ ეს „გამოცდილება“ ხშირად შევარდნადის პერიოდის კორუმპირებულ მთავრობასთან ასოცირდება, რომელთა შორისაც კი სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს გამორჩეული ადგილი ეკავა.

კანონპროექტში არასაკმარისი ყურადღება ექცევა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხებს, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებას. კონსერვაციული თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კორომები (old growth forests) - მწიფე და მწიფეზე უხნესი კორომები, კვლავ განიხილებიან, როგორც მერქნული რესურსის მიღების ყველაზე მისაღები წყარო. ეს პრობლემა ჯერ კიდევ 2005 წელს დამტკიცებულ ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში (მთავრობის დადგენილება N 27, 19.02.2005) იყო ხაზგასმული და დასახული იყო მისი აღმოფხვრის ამოცანა. ეს მიდგომა არ შეესაბამება ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს და არღვევს ტყის მდგრადი გამოყენების პრინციპს, რომლის თანახმადაც, ხე-ტყის დამზადება და სხვა სატყეო სამეურნეო სამუშაოები უნდა ითვალისწინებდნენ ტყის კორომის ბუნებრივი რეჟიმის შენარჩუნებას (პრინციპი „ბუნებასთან ახლოს“). კანონპროექტში გამორჩენილია ე.წ. „ჰაბიტატური ხეების“ საკითხი, რის გარეშე წარმოუდგენელია ტყის მდგრად მართვა. ჰაბიტატური ხეები არიან ძალიან დიდი, ასაკოვანი, გამხმარი ან ცოცხალი მიკროჰაბიტატების შემქმნელი ხეები. მათ სპეციალიზებული ფლორისა და ფაუნისთვის უპირველესი მნიშვნელობა გააჩნიათ. კორომში ჰაბიტატური ხეების და უბნების შენარჩუნება ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების მაღალი დონის დაცვას და ეკოსისტემის უკეთეს ფუნქციონირებას, ასევე აჩქარებს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის ფუნქციონირების აღდგენას დაზიანებულ კორომებში. საზოგადოდ, კორომში, სადაც ჭრა არის დანიშნული, ერთ ჰექტარზე სულ მცირე ხუთიდან ათამდე ჰაბიტატური ხე უნდა შენარჩუნდეს. სულ მცირე ზეხმელი ხეების 10% ადგილზე უნდა დარჩეს. ლანდშაფტის დონეზე, ტყის მინიმუმ 10%-ში ბუნებრივი პროცესებში ჩარევა (ჭრები და სხვა ღონისძიებები) არ უნდა ხდებოდეს.

კანონპროექტის თანახმად, პირწმინდა ჭრა დაშვებულია კოლხეთის დაბლობის ტყეებში, რაც ბიომრავალფეროვნების დაცვის თვალსაზრისით ყველაზე საგანგაშო საკითხია. კოლხეთის დაბლობი წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების რეფუჯიუმს, სადაც შემორჩენილია ბოლო გამყინვარებას გადარჩენილი რელიქტები. საბჭოთა პერიოდში დაშვებული პირწმინდა ჭრების შედეგად ეს უნიკალური ეკოსისტემა ძალზე გაღარიბდა და დაიწყო მურყნარით ჩანაცვლება. თუმცა, ის ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის ეკოლოგიურ მნიშვნელობას. კოლხეთის ტყეები შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების წინასწარ ნუსხაში, როგორც გამორჩეული უნივერსალური ფასეულობების მქონე ეკოსისტემები. სულ ახლახან UNESCO-ში წარდგენილი იქნა წინადადება ამ ტერიტორიების მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ჩართვის მიზნით.

სამწუხაროა, რომ კანონპროექტის მომზადებისას, არ მოხდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული კვლევებსა და სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების განხილვა და ყოველგვარი ახსნის გარეშე, იგნორირებული იქნა კანონპროექტთან დაკავშირებული შენიშვნებიც. დღესაც ვხედავთ, რომ ტყის კოდექსის შემუშავებისას პრიორიტეტი საბჭოთა მეტყევეების „ტრადიციულ“ მეთოდებს ენიჭება და საერთოდ არ განიხილება ბოტანიკოსებისა და ეკოლოგების თვალსაზრისი. მიუხედავად თავისი უნიკალურობისა, საბჭოთა მეტყევეობის ტრადიციების მიხედვით, კოლხეთის დაბლობის ტყეები განიხილებიან ბარის ტყეებად, სადაც დაშვებულია პირწმინდა ჭრები. ასეთი მიდგომის გამო, დღემდე პირწმინდა ჭრები ტარდება კოლხეთის ეროვნულ პარკშიც კი.

საჯარო განხილვისას კანონპროექტის ერთ-ერთმა ავტორმა/ექსპერტმა მერაბ დვალმა, რომელსაც საზოგადოება იცნობს როგორც შევარდნადის პერიოდის სახელმწიფო სატყეო დეპარტამენტის ერთ-ერთ ხელმძღვანელს და რომლის დროსაც ტყის ჭრას და მასთან დაკავშირებულ კორუფციას უპრეცედენტო მასშტაბი ჰქონდა, დასვა კითხვა -რომელი ჭრა უნდა იქნას გამოყენებული კოლხეთის დაბლობზე, თუ არა პირწმინდა ჭრა. ამ კითხვაზე პასუხი კანონპროექტის ექსპერტებს თავად უნდა მოეძებნათ თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში და არა საბჭოთა ტყის ჭრის წესებში, თუმცა პარლამენტში ისე შეიტანეს კანონპროექტი, რომ ეს არ გააკეთეს.

განვმარტავთ, რომ ბოლო ათწლეულებია ევროპაში გამოიყენება ტყის მართვის ინტეგრაციული მიდგომა, რომელიც გულისხმობს, რომ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისაკენ მიმართული ქმედებები უნდა ხორციელდებოდეს როგორც დაცულ ტერიტორიებზე, ისე სამეურნეო დანიშნულების ტყეებში. თანამედროვე, მდგრადი მეტყვეობის მიდგომა გულისხმობს, რომ სამეურნეო მიზნით მართულ ტყეებშიც დასახული უნდა იყოს საკონსერვაციო მიზნები, რომელთა მისაღწევად საჭიროა ძირითადი ჰაბიტატური მახასიათებლების შენარჩუნება (ხის სახეობების ბუნებრივი შემადგენლობა, ნაირხნოვანი სტრუქტურა, ხნოვანი და გამხმარი ხეები). ამისათვის ტრადიციული პირწმინდა ჭრის ნაცვლად გამოიყენება ამორჩევითი ჭრა, რაც საშუალებას იძლევა, რომ ტყეკაფზე შენარჩუნდეს ხელუხლებელი ჰაბიტატური ფრაგმენტები და ინდივიდები. ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ კორომის დონეზე მოხდეს ტყის ბუნებრივი დინამიკის იმიტირება (პრინციპი „ახლოს ბუნებასთან“). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პირობებში პირწმინდა ჭრა შესაძლებელია დაშვებული იქნას მხოლოდ პლანტაციურ მეურნეობაში.

კანონპროექტის თანახმად, ისევე მოუგვარებელ პრობლემად დარჩება ადგილობრივი მოსახლეობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ტყის პროდუქტები/სორტიმენტის ხელმისაწვდომობა, როგორცაა ჭიგო, სარი, წნელი და სხვ. რაც სრულიად აუცილებელია სოფელში მცხოვრები ადამიანებისათვის.

კანონპროექტის ერთ-ერთი პრობლემური ნაწილი არის „განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა“, რომელიც დაკავშირებულია ტყის ეკოსისტემების/ბიომრავალფეროვნების განადგურებასთან წიაღის მოპოვების, ელექტროსადგურების, მილსადენების, გზების და სხვა ხაზობრივი ინფრასტრუქტურის მშენებლობის, , ურბანული განვითარების შედეგად. არსებული პრაქტიკით, უმეტეს შემთხვევაში, ეროვნულ სატყეო სააგენტო უკვე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (გარემოზე ზემოქმედების ნებართვის) საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას (იძულებულია რომ მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება). ხშირია შემთხვევა, როცა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დროს დეველოპერები არ ითვალისწინებენ ტყის ეკოსისტემაზე ზემოქმედების საკითხებს: გზის ანგარიშებში აღინიშნება, რომ დაგეგმილი საქმიანობის ტყეზე ზემოქმედება არ წარმოადგენს გზის-ს საგანს და სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის ხელშეკრულებით უნდა დარეგულირდეს. ხოლო გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების შემდეგ, ფაქტის წინაშე აყენებენ ტყის მართვის ორგანოს, რომელიც იძულებულია გასცეს ტყითსარგებლობის ნებართვა. სამწუხაროდ, წარმოდგენილი კანონპროექტი ამ კუთხით ვერანაირ პრინციპულ სიახლეს ვერ გვთავაზობს. კანონპროექტის ავტორებმა ვერ შეძლეს მისი ჰარმონიზება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსთან“, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ უკვე გამოვლენილი პრობლემების შეფასება და მათი გადაჭრისათვის ადეკვატური ცვლილებების შემოთავაზება. კანონპროექტით შემოთავაზებულია ტყის სპეციალური სარგებლობის დროს მიყენებული ზიანის კომპენსაციის ისეთი სქემა, რომელიც ეწინააღმდეგება საყოველთაო გარემოსდაცვით პრინციპს „დამზინძურებელი იხდის“ და „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს და აშკარად აჩენს ელიტური კორუფციის შესაძლებლობას.

საგანგაშოა, რომ კანონპროექტით განსაზღვრული ზოგიერთი რეგულაცია შესაძლებლობას ქმნის ალდგეს ტყის განადგურებისა და კორუფციის „მივიწყებული“ მექანიზმები. იმ პერიოდში, როდესაც ტყის მართვის ორგანოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი წარმოდგენდა, უკანონო და უსისტემო ჭრების ლეგალიზაცია ხდებოდა ე.წ. „მოვლითი“ და „სანიტარიული“ ჭრებისათვის გაცემული სანებართვო დოკუმენტებით. ასეთი „მოვლითი“ და „სანიტარიული“ ჭრების შედეგად საქართველოს ტყეების გაჩანაგებამ და კორუფციამ უპრეცედენტო მასშტაბი მიიღო გასული საუკუნის ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში. სწორედ ასეთი რეჟიმის (ჭრების) ალდგენა იგეგმება კანონპროექტით.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი პრინციპების დონეზეც კი არ არის მოცემული კანონპროექტში (ტყის მდგრადი მართვის პრინციპები და ინდიკატორები, ტყის სამეურნეო მართვასთან დაკავშირებული პრინციპები, რომლებიც საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნიან ტყის ჭრასთან, მოვლასთან, ჰაბიტატების



შენარჩუნებასთან დაკავშირებული ნორმატიული კანონქვემდებარე აქტებისათვის). სამინისტროს წარმომადგენლები სრულიად უმართებულოდ აცხადებენ, რომ „ყველაფერი კოდექსში ვერ ჩაიწერება“. ამის პარალელურად, კანონში გაწერილია ტყის ჭრასთან და „მოვლასთან“ დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია, რომელიც სინამდვილეში კანონქვემდებარე აქტებით უნდა რეგულირდებოდეს,

მაღზე მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტის ამ რედაქციაში გაჩნდა სპეციალური თავი, რომელიც ეხება მეტყვევისა და სატყეო საქმის სპეციალისტის სოციალურ დაცვას. ამასთანავე, ამ საკითხთან დაკავშირებული მუხლები შემდგომ დახვეწას მოითხოვენ.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ კოდექსით დადგენილია ტყის მართვის ორგანოს ვალდებულება, უზრუნველყოს ტყის მართვაში მეტყვევის და სატყეო საქმის სპეციალისტის სტატუსის მქონე პირების სავალდებულო მონაწილეობა. განსაზღვრულია მეტყვევისა და სატყეო საქმის სპეციალისტის მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ეს მუხლებიც შემდგომ დახვეწას მოითხოვენ და უნდა გავრცელდნენ ყველა სუბიექტზე, რომელიც ამჟამად ან მომავალში ფლობს ან მართავს ტყეს.

## **შენიშვნები და წინადადებები კანონპროექტის მუხლების მიხედვით**

### **1. პრეამბულა**

პრეამბულის პირველი აზბაციდან ამოღებულია სიტყვები „და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას“. აღნიშნული ცვლილება დაუსაბუთებელია და არ შეესაბამება „საქართველოს ეროვნულ სატყეო კონცეფციას“ (იხ. „კონცეფციის მიზანი“).

## **თავი I ზოგადი დებულებანი**

### **2. მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

მოქმედ ტყის კოდექსში (1999 წ.) ტერმინი „ტყე“ მაღზე გაუგებრადაა განმარტებული - არ შეიცავს არანაირ მინიშნებას, თუ რომელ კორომს ან ეკოსისტემას მიიჩნევს კოდექსი მართვის ობიექტად. ამასთანავე, განმარტება შეიცავს სამეცნიერო თვალსაზრისით არასწორ ტერმინებს, მაგ. „გავრცელების

არეალი“ და სხვ. ტყე ისე უნდა იყოს კანონმდებლობაში განმარტებული, რომ ნათლად იყოს მოცემული მერქნიანი მცენარეების ერთობლიობის (კორომის) რაოდენობრივი პარამეტრები (მაგალითად, მინიმალური ფართობი, სიხშირე, დაფარულობა, ვარჯის შეკრულობა, ხეების სიმაღლე). ასეთი განმარტება საშუალებას მისცემდა ტყის მართვაზე პასუხისმგებელ ინსტიტუციებს, ჰქონოდათ გარკვეული მიზანი (ორიენტირი) ტყის დაცვის, აღდგენისა და გამოყენების ამოცანების დასახვისას.<sup>7</sup>

კანონპროექტში არის კანონმდებლობის ამ ხარვეზის გამოსწორების მცდელობა. თუმცა, პარლამენტში წარდგენილი ვერსია გაუარესებულია ერთი წლის წინ საჯარო განხილვაზე გამოტანილ ვერსიასთან შედარებით. წინა ვერსიაში ტერმინ „ტყე“-ში არ იყო მითითებული ხეების სიმაღლე და ეს უნდა ხარვეზი უნდა გამოსწორებულიყო; შემდგომ მსჯელობას მოითხოვდა, რა არგუმენტებზე დაყრდნობით განისაზღვრა ხეთა ვარჯის შეკრულობად 20%. ვარჯის შეკრულობის (დაფარულობის) მაჩვენებელს დიდი მნიშვნელობა აქვს ტყეების მართვისას: განაპირობებს, ქვეყნის ტერიტორიის რამდენი პროცენტი ითვლება ტყით დაფარულად; რომელი კორომები ექვემდებარება აღდგენას და/ან ტყის მართვის სხვა მექანიზმებს; რომელი ადგილების ტრანსფორმაცია შეიძლება სხვა ეკოსისტემებად. ნაცლად ამ ხარვეზების გამოსწორებისა, კვლავ არ არის მითითებული ხეების სიმაღლე, ხოლო დაფარულობის ნაცლად განუსაზღვრავთ „კორომის სიხშირე 0.1“. ამგვარი ჩანაწერი მეთოდოლოგიურადაც არასწორია („სიხშირე“ და „დაფარულობა“ არ არის ერთიდაიგივე). ამასთანავე, ასეთი დაბალი სიხშირის (0,1) დაწესება ტყის განსაზღვრისათვის ბევრ პრობლემას შექმნის. მაგალითად, ამ კოდექსის მიხედვით, აკრძალულია ტყის განადგურება; მაგრამ ტყის განადგურებად არ ჩაითვლება, თუ ხელუხლებელ ტყეს ისე გაჩეხავ, რომ ყოველი 10 ხიდან 9 ხეს მოჭრი და 1.0 სიხშირეს შეამცირობ 0.1 სიხშირემდე.

აქედან გამომდინარე, რეკომენდაციას ვიძლევი, ტერმინი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ა) ტყე - ტყის შემქმნელი მერქნიანი ერთი ან რამდენიმე სახეობით დაფარული მინიმუმ 10 მეტრი სიგანისა და არანაკლებ 0.5 ჰექტარი მიწის ფართობი, სადაც ხეთა სიმაღლე აღემატება 3 მეტრს, ხეთა ვარჯის შეკრულობა შეადგენს ფართობის მინიმუმ 20%-ს (ან 30%-ს - ეს საკითხი განსახილველია); აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის სხვა მუხლებში არის ხეთა სიმაღლის მითითება - 3 მეტრი - მოცემული.

### 3. მუხლი 2. ტერმინთა განმარტება. „ს) ტყის მონიტორინგი“

ეს განმარტება დახვეწას და დაკონკრეტებას მოითხოვს. არათუ ტყის მართვის პრაქტიკული თვალსაზრისით, გრამატიკულადაც კი არაფერს არ ნიშნავს ეს განმარტება: მონიტორინგი არ არის „სისტემა“, მონიტორინგი არის პროცესი.

### 4. მუხლი 2. ტერმინთა განმარტება. „რ) ტყეთმოწყობა“

საკმაოდ ბუნდოვანი და გაუგებარი განმარტებაა, პრაქტიკული (მართვის) თვალსაზრისით არაფერს არ განსაზღვრავს. ეს ტერმინები პირდაპირ და გაუაზრებლად გადმოტანილია 1999 წლის ტყის კოდექსიდან (მუხლი 27). იმ პერიოდში „ტყეთმოწყობა“ მოიცავდა ამ კანონპროექტისაგან განსხვავებულ ღონისძიებებს, ხოლო ტყის აღრიცხვისა და დაგეგმვის სისტემა განსხვავებული იყო.

### 5. მუხლი 2. ტერმინთა განმარტება. „ი) ტყეკაფი“

<sup>7</sup> ამ საკითხზე მეტი ინფორმაციის მისაღებად იხ. ტერმინ „ტყის“ განმარტებები გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP), ბიომრავალფეროვნების კონვენციის (CBD) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ვებ-გვერდებზე: <http://www.unep.org/vitalforest/Report/VFG-01-Forest-definition-and-extent.pdf>; <https://www.cbd.int/forest/definitions.shtml>; <http://www.fao.org/docrep/005/y4171e/y4171e10.htm>

სასურველია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „**ტყეაფი** - ხე-ტყის დამზადების მიზნით გამოყოფილი ტყის უბანი, რომელზეც განსაზღვრულია მოსაჭრელი, ზეხმელი და ძირნაყარი ხეების ოდენობა და მონიშნულია მოსაჭრელი და ხეები“.

საქმე ის არის, რომ ტყის მდგრადი მართვის თანამედროვე პრინციპები მოითხოვენ, რომ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები, მათ შორის ხე-ტყის დამზადება უნდა ხდებოდეს „ბუნებასთან ახლოს“ მიდგომით, რაც გულისხმობს ხე-ტყის დამზადებისას გარკვეული რაოდენობით ძირნაყარი, ზეხმელი და ფაუტი ხეების დატოვებას (ბუნებრივი პროცესების (სუქცესიის) და ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობის ღონისძიება). ინგლისურენოვან ლიტერატურაში განსაზღვრება ტერმინით „deadwood“, რაც ზეხმედგომ და ძირნაყარ მკვდარ და ხმობად ხეებს აღნიშნავს. მაგალითად, ევროპაში ტყეაფში სხვადასხვა ფერით ინიშნება მოსაჭრელი და აუცილებლად დასატოვებელი ხეები.

**6. „უ) ტყის მავნებელ-დაავადებები“**

„მავნე ორგანიზმი, როგორცაა მწერი, მღრღნელი, სოკო, ბაქტერია ან ვირუსი, რომელთა რაოდენობის მომატებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ტყეს ან არსებითად შეამციროს მერქნის ხარისხი“ - ეს განმარტება დასაზუსტებელი და დასახვეწია. სულ მცირე, უნდა ამოღებული იქნას სიტყვები „ან არსებითად შეამციროს მერქნის ხარისხი“, რადგან ეს მიდგომა მიუღებელია ტყის მდგრადი მართვისა და ეკოსისტემური მიდგომის თვალსაზრისით.

**7. მუხლი 3. საქართველოს კანონმდებლობა ტყის სფეროში**

„3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ტყის მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე ვრცელდება ამ კოდექსის მოქმედება, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული“. გაუგებარია, რაზე დაყრდნობით არის ასეთი გამონაკლისი ქალაქ თბილისისათვის, ვინაიდან კანონპროექტიდან არ ჩანს, რა ფორმით ეკუთვნის თბილისის მუნიციპალიტეტს ტყეები (მართვა? საკუთრება?)

**8. მუხლი 3. საქართველოს კანონმდებლობა ტყის სფეროში.**

„4. ტყის დაცული ტერიტორიების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს ეს კოდექსი, თუ კი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“. - საკმაოდ საშიში და ორაზროვანი ფორმულირებაა და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. გაგრძელება არსებული საშიში ტენდენცია, რომლითაც ხშირ შემთხვევაში დაცული ტერიტორიების მართვა გათანაბრებულია სამეურნეო ტყის მართვასთან. ასეთი ჩანაწერის შედეგად დაცულ ტერიტორიებში ხე-ტყის დამზადება და სპეციალური სარგებლობა ხორციელდება იმავე მეთოდებით, როგორცაა განსაზღვრულია ტყის კოდექსის კანონქვემდებარე აქტებში, რაც ცალსახად ეწინააღმდეგება დაცული ტერიტორიების იდეას (მაგალითად, პირწმინდა ჭრები კოლხეთის ეროვნულ პარკში). სამწუხაროდ, ასეთი პრაქტიკის დამკვიდრებას ხელს უწყობს სასამართლოს მიერ არსებული ტყის კოდექსის ინტერპრეტაცია (სასამართლო პროცესები „დარიალ-ჰესის“ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის კანონიერებასთან დაკავშირებით). გამოსავალი ამ შემთხვევაში ერთია - ახალ კანონში ცალსახად უნდა ითქვას, რომ ტყის დაცული ტერიტორიების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს დაცული ტერიტორიების სისტემის კანონმდებლობა - სულ მცირე დაცული ტერიტორიების მართვა უნდა გაიმეჯნოს ტყის სპეციალური სარგებლობის, ტყის სხვადასხვა ფორმით სარგებლობის, ე.წ. „ტყის მოვლის“ საკითხებში.

**9. მუხლი 4. ტყის მდგრადი მართვის პრინციპები**

ამ მუხლის სათაურს მისი შინაარსი არ შეესაბამება. საერთოდ არ არის მოცემული ტყის მდგრადი მართვის არც ერთი პრინციპი, არ არის მოცემული ტყის მართვის რაოდენობრივი და/ან თვისობრივი ინდიკატორები. ეს ძალიან სუსტი მუხლია, რომელიც აუცილებლად თავიდან უნდა დაიწეროს. იმისათვის რომ „ტყის მდგრადი მართვა“ მხოლოდ ფორმალური ტერმინად არ დარჩეს, არამედ იყოს ღონისძიებებისა და კონტროლის განსახორციელებელი რეალური ინსტრუმენტი, ის უნდა მოიცავდეს დეტალურად აღწერილ კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს. ასეთი დეტალური აღწერა ვერ გახდება ტყის კოდექსის ნაწილი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის სახით (მთავრობის რეგლამენტის სახით) უნდა ჩამოყალიბდეს. თავად კოდექსში კი უნდა დასახელდეს ტყის მდგრადი მართვის პრინციპები და განიმარტოს ისინი (მაგალითად: პრინციპი - „ბუნებასთან ახლოს“, ანუ ეკოსისტემური პრინციპი; საკმარისობის პრინციპი; სიფრთხილის პრინციპი; საზოგადოების; გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობისა და გამჭვირვალობის პრინციპები).

ცნობილია, რომ ტყის მდგრადი მართვის პრინციპებისა და ინდიკატორების ჩამოყალიბება ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ერთ-ერთ ვალდებულებასაც წარმოადგენს. ამ მიმართულებით საერთაშორისო დაფინანსებით ხორციელდებოდა პროექტები. ამ ფონზე გასაკვირია, რომ კანონპროექტში არ აისახა ეს საკითხი. ასევე კანონპროექტით არ არის განსაზღვრული ტყის მდგრადი მართვის პრინციპებისა და ინდიკატორების შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შემუშავება<sup>8</sup>. საჭიროა მე-4 მუხლის ბოლოს განისაზღვროს ასეთი ნორმატიული აქტის შემუშავება, რომლითაც ტყის სავალდებულო და არა სარეკომენდაციო ხასიათის იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის წარმოდგენილი სახით დამტკიცებით ტერმინს „ტყის მდგრად მართვა“ მხოლოდ სიმბოლური/ფორმალური დატვირთვა ექნება.

აღსანიშნავია, რომ „ეროვნულ სატყეო კონცეფციაში“, ტყის მდგრადი მართვის დანერგვისათვის ერთ-ერთ განსახორციელებელ ქმედებას წარმოადგენს „საქართველოს ტყის ფონდის მართვის უზრუნველყოფა სათანადო სახელმწიფო ზედამხედველობით და შესაბამისი სტანდარტებით, კერძოდ, ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის („ევროპის ტყეები“) მიერ დამტკიცებული ტყის მდგრადი მართვის საოპერაციო სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად“ (მუხლი 5.1.3).

#### 10. მუხლი 4. ტყის მდგრადი მართვის პრინციპები

დ) ქვეპუნქტი არ შეესაბამება მდგრადი მართვის პრინციპებს. ტყის არასატყეო მიზნით გამოყენებისას (რაც რეალურად ტყის ეკოსისტემის განადგურების მნიშვნელობით გამოიყენება) საკომპენსაციო ღონისძიებები ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამოწურულია ამ ზემოქმედების თავიდან არიდების შესაძლებლობები, გატარებული შემარბილებელი და აღდგენის ღონისძიებები. თუ თავიდან არიდების, შერბილების და აღდგენის ღონისძიებების განხილვამდე დადგება კომპენსირების საკითხი, ეს უცილობლად გამოიწვევს ბიომრავალფეროვნების დეგრადაციას.

#### 11. მუხლი 5. ტყეზე საკუთრების უფლება

ეს მუხლი არ შეესაბამება „საქართველოს ეროვნულ სატყეო კონცეფციას“, ვინაიდან უგულებელყოფს ტყის საკუთრებისა და მართვის საკითხებში ადგილობრივი თემებისა და მუნიციპალიტეტების როლს. შესაბამისად, უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

კანონპროექტის მე-5 მუხლს (ტყეზე საკუთრების უფლება) დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტები:

<sup>8</sup> სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონმა კარლო ამირგულაშვილმა საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „რეალურ სივრცეში“ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას.

- „4. ამ კოდექსით დადგენილი წესები ვრცელდება საქართველოს ტყეზე, მიუხედავად მისი საკუთრების ფორმისა, თუ კი ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.
5. მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ საზღვრებში არსებული სახელმწიფო ტყე შესაძლებელია გადაეცეს შესაბამის მუნიციპალიტეტს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში (შენიშვნა: შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს ორგანული კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ადგილობრივი ტყეების მართვა უნდა გადავიდეს ექსკლუზიურიდან დელეგირებული უფლებამოსილების ნაწილში).
6. კერძო ან მუნიციპალურ საკუთრებაში ან მუნიციპალიტეტის მართვაში ტყის გადაცემას აუცილებელი წინაპირობაა ტყის კატეგორიზაციის და კოდექსის 24-ე მუხლით განსაზღვრული ტყის ეროვნული აღრიცხვის ჩატარება.
7. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ტყის ნაწილის საკუთრებაში გადაცემა ხდება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.
8. კერძო ან მუნიციპალურ საკუთრებაში ან მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ტყეებზე ვრცელდება ტყის მართვაში მეტყევისა და სატყეო საქმის სპეციალისტის სავალდებულო მონაწილეობასთან დაკავშირებული\_ ამ კოდექსის XIX თავის მოთხოვნები.“

## 12. მუხლი 7. ტყის კატეგორიზაცია და მართვის ამოცანები

როგორც აღვნიშნეთ, კანონპროექტის წარმოდგენილ რედაქციაში, მოცემული კატეგორიზაციის სისტემა მეტწილად შეესაბამება „ევროპის ტყეების“ კლასიფიკაციას, რომლის თანახმადაც, ტყეები დაჯგუფებული არიან მათი მართვის ძირითადი ამოცანის შესაბამისად. სამწუხაროდ, წარმოდგენილ კანონპროექტში არ არის წარმოდგენილი კატეგორიზაციის მნიშვნელობა და კავშირი კოდექსის სხვა ნაწილებთან; არ ჩანს მწყობრი კავშირი კატეგორიზაციის და მომდევნო თავებში მოცემულ სხვა რეგულაციებს შორის. კოდექსის ბოლო თავები არ შეესაბამება ამ მუხლით განსაზღვრულ კატეგორიზაციის სტრუქტურას. ტყის კატეგორიზაცია დაყოფასთან ერთად ამ მუხლში უნდა განისაზღვროს ამ კატეგორიების გამოყენების პრინციპები და ადგილი ტყის აღრიცხვისა და დაგეგმვის სისტემაში (ტყის დაგეგმვის რომელ საფეხურზე ხდება კატეგორიზაცია).

მე-6 პუნქტის მიხედვით, „ტყის ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით ტყეების დაყოფა ხორციელდება „საქართველოს ტყის კატეგორიზაცია და მართვის წესის“ შესაბამისად.“ საჭიროა, რომ კანონში უფრო მეტი სიცხადე იქნას შეტანილი აღნიშნული კანონქვემდებარე აქტის შინაარსისა და პრინციპების შესახებ. ამისათვის, ამავე პუნქტში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტყეების კატეგორიზაცია განხორციელდება „ევროპის ტყეების“ კლასიფიკაციის/კლასების გათვალისწინებით.

<sup>9</sup> „ევროპის ტყეების“ კლასიფიკაცია - „ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის“ (MCPFE) – „ევროპის ტყეების“ (Forest Europe), ვენის მეოთხე მინისტრთა კონფერენციის მე-4 რეზოლუციით („ევროპის ტყეების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგომარეობის გაუმჯობესება“) განსაზღვრული ტყეების კლასიფიკაცია. MCPFE-ის თითოეულ კლასს შეესაბამება ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების კატეგორია, რომელიც გამოყენებულია საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის გაგეგმვისა და მართვისას; ასევე ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) კატეგორიას და გამოიყენება „ნატურა 2000“ და „ზურმუხტის ქსელის“ ტერიტორიების გამოყოფისა და მართვისას.

### 13. მუხლი 8. დაცული კატეგორიის ტყე

პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაცულ ტყედ ითვლება ყველა კატეგორიის ტყე, რაც ეწინააღმდეგება კატეგორიზაციის პრინციპს, მათ შორის „ევროპის ტყეების“ კლასიფიკაციის იდეას. დაცულ ტყეს, მათი მართვის ძირითადი ამოცანიდან გამომდინარე, შეიძლება მიაკუთვნო მხოლოდ ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) I-IV კატეგორიის დაცული ტერიტორიები (ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, ადკვეთილი). დაცული ტერიტორიის კატეგორია „მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია“ (IUCN VI) დანიშნულებაა მაგალითად, ტყის მდგრადი გამოყენება, ბიომრავალფეროვნების ელემენტების კონსერვაციასთან ერთად.

პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაცულ ტყეებში შედის „ბუნებრივი ლანდშაფტის წარმომქმნელი ჭალისა და არიდული ტყეები, აგრეთვე ტყე, რომელიც მოიცავს ენდემურ სახეობებს.“ სამეცნიერო თვალსაზრისით არასწორი განმარტებაა და პრობლემებს შექმნის მენეჯმენტის პროცესში. შეიძლება სახეობა არ იყოს არც ენდემი არც რელიქტი, მაგრამ კონსერვაციული სტატუსი ჰქონდეს გლობალურ, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე, დაცული იყოს ეროვნული კანონმდებლობით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით. ამ განსაზღვრების მიხედვით აღმოჩნდება, რომ დაცული ტყეები, სადაც ახალი დაცული ტერიტორიები უნდა შეიქმნას, არ შეიძლება იყოს „ბუნებრივი ლანდშაფტის წარმომქმნელი“ წიფლნარი, წაბლნარი ან ფიჭვნარი ტყეები; ასევე, ტყეები, სადაც კონცენტრირებულია ბერნის კონვენციით დაცული ჰაბიტატები (ბერნის კონვენციით დაცულია ევროპული მნიშვნელობის ჰაბიტატები და სახეობები და არა ენდემური სახეობები).

ამავე მუხლის ფორმულირება სტილისტურად გაუმართავია: დაცვითი კატეგორიის ტყე იყოფა კიდევ ორ კატეგორიად (და არა „ქვე-კატეგორიად“). ეს აბნევს წამკითხველს, რაც დადასტურდა 2018 წელს გამართულ კანონპროექტის საჯარო განხილვაზე.

შესაძლებელია, რომ ამ კატეგორიის ტყის („დაცული ტყის“) შენარჩუნებისათვის საჭირო იყოს არა მინიმალური ჩარევა, როგორც ეს ამ მუხლის მე-3 პუნქტშია აღნიშნული, არამედ აქტიური მენეჯმენტი (აღდგენის ღონისძიებები, მკურნალობა, გაშენება, მავნებლებთან ბრძოლა და სხვ.).

ამ მუხლის აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებისათვის, ის უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

#### „მუხლი 8. დაცული კატეგორიის ტყე

1. დაცულ ტყეს მიეკუთვნება:

- ა) ტყე, რომელიც მდებარეობს დაცული ტერიტორიების შემდეგ კატეგორიებში. მათი მართვა ხორციელდება დაცული ტერიტორიების კანონმდებლობისა და მენეჯმენტის გეგმების შესაბამისად;
- ბ) ბუნებრივი ლანდშაფტის წარმომქმნელი, ჭალისა და არიდული ტყე, აგრეთვე ტყე, რომელიც მოიცავს ენდემურ ან /და რელიქტურ სახეობებს და/ან ტყე, სადაც აღინიშნება გლობალურ, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე დაცული სახეობების, ჰაბიტატებისა და ეკოსისტემების მაღალი კონცენტრაცია.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, ქვეპუნქტით განსაზღვრული ტყე წარმოადგენს პოტენციურ/სარეზერვო დაცულ ტერიტორიებს, სადაც დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება ხორციელდება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად გრაფიკით. ასეთი კატეგორიის დაცული ტყის მართვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი შენარჩუნება (კონსერვაცია), მინიმალური ჩარევით, ან საჭიროების შემთხვევაში, აქტიური მენეჯმენტით.

**14. მუხლი 9. დაცვითი კატეგორიის ტყე**

პირველი პუნქტს დაემატოს სიტყვები „კულტურულ-ისტორიული ძეგლების“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. დაცვითი კატეგორიის ტყეს წარმოადგენს ტყე, რომელსაც გააჩნია დასახლებული პუნქტების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, კულტურულ-ისტორიული ძეგლების, ინფრასტრუქტურისა და მოწყვლადი ტერიტორიების დაცვის ფუნქცია“. ეს დამატება მნიშვნელოვანია იმ დისკრიმინაციული ჩანაწერის გამოსასწორებლად, რომელიც მოცემულია მე-15 მუხლში.

**15. მუხლი 9. დაცვითი კატეგორიის ტყე**

მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:

„ნ). კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები ასევე კულტურული/ისტორიული ძეგლების მიმდებარე 20 ჰექტარამდე ტყის ფართობი (მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტყის ფართობი, „ხატის ტყეები“ და სხვ.). აღნიშნული ტყეები შესაძლებელია მთავრობის გადაწყვეტილებით საკუთრებაში ან მართვაში გადაეცეს შესაბამის რელიგიურ და სათემო ორგანიზაციებს, რომლებიც ისტორიულად განაგებდნენ ამ ტერიტორიებს, ასევე სსიპ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს“.

**16. მუხლი 9. დაცვითი კატეგორიის ტყე**

ამ მუხლში არ არის განსაზღვრული დაცვითი ტყეების მართვის ამოცანები/პრინციპები, მიუხედავად იმისა, რომ სხვა კატეგორიის ტყეებთან მიმართებაში ეს საკითხი განსაზღვრულია (ეს ხარვეზი მეორდება 2015 წლიდან, მაგრამ კანონპროექტის ავტორები არ აქცევენ ყურადღებას ამ კომენტარს). ამიტომ, მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„3. დაცვითი ტყეების ტერიტორიაზე აკრძალულია ნებისმიერი საქმიანობა/ღონისძიება, რომელიც უარყოფითად აისახება ნიადაგისა და წყლის ხარისხზე ან/და მარეგულირებელ ეკოსისტემურ სერვისებზე, ან/და შესაძლოა შეასუსტოს ტყეების დასახლებების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების ბუნებრივი კატასტროფებისაგან პრევენციის უნარი. საჭიროების შემთხვევაში, დაცვითი ტყეების მართვისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მინიმალური ჩარევა და/ან დაცვა აქტიური მენეჯმენტის გზით. დაცვითი ტყეები შესაძლებელია მდებარეობდნენ დაცული ტერიტორიების სხვადასხვა კატეგორიებზე, ასევე მოიცავდნენ „ზურმუხტის საიტებს“. ამ შემთხვევაში იმართება შესაბამისი კატეგორიის მართვის ამოცანის გათვალისწინებით. დაცვით ტყეებში შეიძლება აიკრძალოს ტყითსარგებლობა და მოქალაქეთა ტყეში ყოფნა (ან დაწესდეს სხვა შეზღუდვები), თუ ეს შეუთავსებელია კონკრეტული ტერიტორიის მართვის მიზანთან (მაგალითად: რელიგიურ ორგანიზაციებზე გადაცემული ფართობები).

**17. მუხლი 10. საკურორტო და სარეკრეაციო კატეგორიის ტყე**

მე-2 პუნქტში, მეორე წინადადებაში სიტყვები „ბუნებრივ ელემენტებზე“ უნდა შეიცვალოს სიტყვებით „ბუნებრივ ღირებულებებზე“.

**18. მუხლი 12. ტყის სტატუსის მინიჭება**

გაუგებარია, ამ მუხლის პირველი პუნქტით რატომ არის აუცილებელი ტყის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმება. რატომ არ ხდება, მაგალითად ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან შეთანხმება. ტყის სტატუსის მინიჭებისას არ არის უზრუნველყოფილი დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა, რაც ეწინააღმდეგება ტყის მდგრადი მართვის პრინციპს.

ტყის სტატუსის მინიჭების საკითხი უნდა წყდებოდეს საჯარო ადმინისტრაციული წესით.

**19. მუხლი 13. ტყის სტატუსის შეწყვეტა**

ტყის სტატუსის შეწყვეტისას არ არის უზრუნველყოფილი დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა, რაც ეწინააღმდეგება ტყის მდგრადი მართვის პრინციპს. გაუგებარია, ტყის სტატუსის შეწყვეტის კავშირი გარემოზე ზემოქმედების შეფასების და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ინსტრუმენტებთან.

არ არის განსაზღვრული, რა მექანიზმით უნდა მომზადდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით დასკვნა (პუნქტი 3). არ არის განსაზღვრული, რა პროცედურით უნდა მოხდეს ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ინტერესთა ურთიერთგაწონასწორება (პუნქტი 4). გაუგებარია, როგორ უნდა მიიღოს ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებული ტყის სტატუსის შეწყვეტაზე გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ.

ტყის სტატუსის შეწყვეტის „დასაბუთების“, ინტერესთა შეპირისპირების, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და პროექტის საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურულ დადგენის ერთადერთი გზა არის გარემოზე ზემოქმედების შეფასების და/ან სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარება. ამ ეტაპზე ტყის კოდექსისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ურთიერთგადამფარავი საკითხები არასრულყოფილად არის ჰარმონიზებული და შემდგომ მუშაობას მოითხოვს (იხ. თანდართულ კანონპროექტი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“).

ყველა შემთხვევაში ტყის სტატუსის შეწყვეტის საკითხი უნდა წყდებოდეს საჯარო ადმინისტრაციული წესით.

**20. მუხლი 15. სახელმწიფო ტყის გადაცემა საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის**

აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ტყის ნაწილის - კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ტყეების საკუთრებაში გადაცემა ხდება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

მუხლის სათაური უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „სახელმწიფო ტყის გადაცემა კერძო საკუთრებაში“

**21. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება**

ეს მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ტყის, მისი ბიომრავალფეროვნებისა და რესურსების მნიშვნელობის, ასევე ტყის მდგრადი მართვის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება“.

**22. მუხლი 17. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა**

აღნიშნული მუხლის თანახმად, საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყოფილია მხოლოდ ტყის მართვის გეგმის დამტკიცებისას (მტკიცდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით). მხოლოდ ეს მექანიზმი არ არის საკმარისი ტყის მდგრადი მართვის უზრუნველყოფისათვის და ანტიკორუფციული მექანიზმების შემოღებისათვის. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება უზრუნველყოფილი უნდა იყოს



საქართველოს ტყისათვის სტატუსის შეწყვეტისა და მინიჭებისას, ტყით განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭებისას, ხანგრძლივადიანი ტყის სარგებლობის უფლების მინიჭებისას, ტყის დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცებისას.

აქვე უნდა განიმარტოს, რა პროცედურებით ხდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება: უტარდება თუ არა ტყის მართვის გეგმებს, ტყის კატეგორიზაციის, ტყის ეროვნული აღრიცხვის და ტყეთმორწყობის დოკუმენტებს გარემოზე ზემოქმედების ან სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება? თუ სხვა პროცედურები იქნება შემოღებული? კანონმა უნდა განსაზღვროს ეს მექანიზმები.

## თავი II

### უფლებამოსილება სატყეო პოლიტიკის, მართვისა და ზედამხედველობის სფეროში

#### 23. მუხლი 18. სამინისტროს კომპეტენცია

ეს მუხლი საკმაოდ წინააღმდეგობრივი და არალოგიკურია. თუ სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება „საქართველოს ტყის მართვის დარგობრივი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება“ და „ტყის სფეროში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარება“, მაშინ რატომ არ ატარებს ტყის კატეგორიზაციას (ტყის ფუნქციური დანიშნულებით დაყოფა „საქართველოს ტყის კატეგორიზაცია დაყოფისა და მართვის წესის“ შესაბამისად) ავტონომიური რესპუბლიკების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტყეებისათვის? მით უმეტეს, რომ სამინისტრო ატარებს ტყის აღრიცხვას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის - ავტონომიური რესპუბლიკების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. კატეგორიზაციის მთელი ქვეყნის მასშტაბით, ერთიანად ჩატარება ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის ნაწილია. ამიტომ, „გ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„გ) ტყის ფუნქციური დანიშნულებით დაყოფა „საქართველოს ტყის კატეგორიზაცია დაყოფისა და მართვის წესის“ შესაბამისად“.

#### 24. მუხლი 18. სამინისტროს კომპეტენცია

ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ავტონომიური რესპუბლიკების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტყის მართვის ორგანოები დატოვებულია საქმიანობაზე სამართლებრივი და დარგობრივი კონტროლის გარეშე. კანონპროექტის მიხედვით, ასეთი კონტროლის ფუნქცია არავის არ აქვს.

#### 25. მუხლი 20. ტყის მართვის ორგანო

ბუნდოვანია, რა სამართლებრივი ფორმას გვთავაზობს კანონპროექტი სახელმწიფო ტყის სამართავად: იქნება ეს სახელმწიფო შპს, სააქციო საზოგადოება თუ სხვა.

კანონპროექტის ახლანდელი რედაქციით მოცემული ტყის მართვის ორგანოს მოიცავს ინტერესთა კონფლიქტებს და ამავდროულად ეწინააღმდეგება „ეროვნულ სატყეო კონცეფციას“ („ეროვნული სატყეო კონცეფციის“ ძირითადი პრინციპი - პოლიტიკის, მართვისა და ზედამხედველობის ფუნქციების გამიჯვნა): ტყის მართვის ორგანო ახორციელებს ხე-ტყის დამზადებას, ტყის დაცვას და სანებართვო დოკუმენტაციის გაცემას. არ არის განსაზღვრული, თუ რომელი უწყება უწევს ტყის მართვის ორგანოს ზედამხედველობასა და მონიტორინგს/კონტროლს.

თუ საუბარია სახელმწიფო შპს-ზე, ეს ფორმა რამდენიმე სერიოზულ რისკს შეიცავს: შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ შპს არ არის მომგებიანი (როგორც წესი, სახელმწიფო საწარმოები არ არის მომგებიანი). ამის შედეგად, დადგება დღის წესრიგში შემდეგი საკითხები: სახელმწიფო შპს-ს საერთოდ გაუქმება;

სახელმწიფო შპს-ს პრივატიზება; მოგების გაზრდის მიზნით ჭრის გეგმების გაზრდა კონსერვაციული და დაცვითი დანიშნულების ტყეების ხარჯზე და ა.შ.

არ არის ნათელი, ვის კომპეტენციას წარმოადგენს ტყის მართვის გეგმების შესრულების მონიტორინგი.

## 26. მუხლი 21. საზედამხედველო უფლებამოსილება

აღნიშნული მუხლის თანახმად, სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს მხოლოდ სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოს დაქვემდებარებულ ტყეებზე და მისი უფლებამოსილება არ ვრცელდება დაცული ტერიტორიებზე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ტყეებზე.

ეს ნიშნავს, რომ ავტონომიური რესპუბლიკებისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ტყეების მართვის მოდელი კიდევ უფრო მეტ ინტერესთა კონფლიქტს მოიცავს და ეწინააღმდეგება „ეროვნული სატყეო კონცეფციის“ ძირითად პრინციპს - პოლიტიკის, მართვის და ზედამხედველობის ფუნქციების გამიჯვნა.

## თავი III

### ტყის აღრიცხვა და დაგეგმვა

## 27. მუხლი 23. საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემა

როგორც აღვნიშნეთ, ტყის აღრიცხვის სისტემაში არ არის ტყის კატეგორიებად დაყოფის ადგილი. კოდექსის დასაწყისში (მუხლები 6, 7, 8, 9, 10, 11) ტყის კატეგორიებად დაყოფის მიზანია ტყის მდგრადი მართვის საფუძვლის შექმნა.

ტყის კატეგორიებად დაყოფა ტყის დაგეგმვისა და აღრიცხვის სისტემის ნაწილი უნდა იყოს. პირველადი კატეგორიზაცია წინ უნდა უსწრებდეს ტყის ეროვნულ აღრიცხვასა და ტყეთმომწეობას. ტყის ეროვნული აღრიცხვის და ტყეთმომწეობის შედეგად კი შესაძლებელია მოხდეს ტყის კატეგორიების (ანუ ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ტყის უბნებისათვის კატეგორიების მინიჭების) დაზუსტება-კორექტირება.

კანონპროექტში არ არის განსაზღვრული ტყის ეროვნული აღრიცხვისა და ტყეთმომწეობის თანამიმდევრობა და ურთიერთმიმართება. ტყის ეროვნული აღრიცხვა და ტყეთმომწეობა ტარდება 10 წელიწადში ერთხელ (იხ. მუხლი 24 და 25). არ არის ახსნილი, ერთსადაიმავე წლებში ხდება ეს ორი პროცესი? რომელი უფრო ადრე ტარდება? შესაძლებელია, რომ ტყეთმომწეობა ჩატარდეს ტყის ეროვნული აღრიცხვის ჩატარებამდე?

## 28. მუხლი 24. საქართველოს ტყის ეროვნული აღრიცხვა

მუხლში არ არის განმარტებული, რა დონისძიებები ხორციელდება ტყის ეროვნული აღრიცხვისას და, ზოგადად, რა პროცესია ეს. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები არასაკმარისად ხსნიან ტყის ეროვნული აღრიცხვის არსს. იმის ფონზე, რომ საერთაშორისო დონორების დახმარებით მეორე წელია მიმდინარეობს ტყის ეროვნული აღრიცხვის პროექტი, ძალზე უცნაურია, რომ ეს საკითხი ასეთი მწირი სახით არის წარმოდგენილი კოდექსში.

პუნქტი 2 („2. ტყის ეროვნული აღრიცხვა მოიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას საქართველოს ტყის მდგომარეობისა და მისი მრავალფეროვნების შესახებ“) საერთოდ არაფერს არ ნიშნავს.

აღნიშნულ მუხლს უნდა დაემატოს პუნქტი, რომლითაც დადგინდება, რომ ტყის ეროვნული აღრიცხვის შედეგად მოხდება ტყის კატეგორიზაციის (ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ტყის უბნებისათვის კატეგორიების მინიჭების) დაზუსტება-კორექტირება.

## 29. მუხლი 25. ტყეთმოწყობა

### 2 პუნქტი. „ა“ ქვეპუნქტი

ა) „ტყის საზღვრების დადგენა“

ეს ფორმულირება არასწორია: ეს ნიშნავს, რომ სანამ მთელს ქვეყანაში ტყეთმოწყობა არ ჩატარდება (ამას კი ათეულობით წელი შეიძლება დასჭირდეს) ტყის საზღვრების დადგენილი არ იქნება. ტყის საზღვარი ამჟამად დადგენილია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილებით „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ და მისი ციფრული ვერსია განთავსებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირის – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე – [www.reestri.gov.ge](http://www.reestri.gov.ge).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს პუნქტი ასე უნდა ჩამოყალიბდეს:

„ა) „ტყის საზღვრების დაზუსტება“

## 30. მუხლი 25. ტყეთმოწყობა

### 2 პუნქტი. „დ“ ქვეპუნქტი.

ამოსაღებია სიტყვა „გავრცელების“ - „გავრცელების არეალი“ არის უხეში ტერმინოლოგიური შეცდომა, რომელიც გადმოსულია ძველი კოდექსიდან.

## 31. მუხლი 25. ტყეთმოწყობა

აქვე უნდა დაემატოს ტყის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საკითხებიც. კერძოდ ე.წ. „ჰაბიტატური ხეების“ საკითხი. შესაბამისი ტერმინი უნდა დაემატოს მე-2 მუხლსაც (ტერმინების განმარტება - ჰაბიტატური ხეები - დიდი ზომის, ხნოვანი, გამხმარი, ხმოზადი ან ცოცხალი ხეები, რომლებიც ქმნიან საბინადრო გარემოს მნიშვნელოვანი სახეობებისათვის და წარმოადგენენ ბუნებრივი ტყეების მნიშვნელოვან ელემენტებს). როგორც აღვნიშნეთ, კორომში ჰაბიტატური ხეების და უბნების შენარჩუნება ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების მაღალი დონის დაცვას და ეკოსისტემის უკეთეს ფუნქციონირებას, ასევე აჩქარებს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის ფუნქციონირების აღდგენას დაზიანებულ კორომებში. საზოგადოდ, კორომში, სადაც ჭრა არის დანიშნული, ერთ ჰექტარზე სულ მცირე ხუთიდან ათამდე ჰაბიტატური ხე უნდა შენარჩუნდეს. სულ მცირე ზეხმელი ხეების 10% ადგილზე უნდა დარჩეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე მე-ე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„დ) გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი იშვიათი, რელიქტური, ენდემური, შეზღუდული არეალის მქონე მცენარეთა სახეობების, ასევე ჰაბიტატური ხეების გამოვლენა და მათი საკონსერვაციო ღონისძიებების განსაზღვრა“

## 32. მუხლი 25. ტყეთმოწყობა

მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ტყეთმოწყობის ღონისძიებებში შედის „ვ) ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ტყის უბნებისათვის კატეგორიებისა და დაცვის რეჟიმის მიკუთვნების, აგრეთვე ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების მიზანშეწონილობის განსაზღვრა;“.

ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში უკვე აღნიშნულია, რომ ტყეთმოწყობის ღონისძიება „ტყის საზღვრების დადგენა“. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, რადა საჭიროა „ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების მიზანშეწონილობის განსაზღვრა“ - დადგენა უკვე მოიცავს ამ ყველაფერს.

რაც შეეხება ამ მუხლის პირველ ნაწილს: თუ ტყეთმოწყობის ჩატარებას: კანონპროექტის მე-6 და მე-7 მუხლებით განსაზღვრული ტყის კატეგორიების მინიჭებისთვის არ არის აუცილებელი ტყეთმოწყობის ჩატარება. თუ ეს პროცესი (კატეგორიზაცია) მთელი ქვეყნის მასშტაბით ტყეთმოწყობის ჩატარებამდე გადაიდო და ახალი კოდექსის მიღებიდან უმოკლეს პერიოდში არ მოხდა კატეგორიზაცია - ამ კოდექსს აზრი ეკარგება. ეს ნიშნავს, „ტყის მდგრადი მართვა“ მხოლოდ ფურცელზე დარჩება და საქართველოს ტყეების ბიომრავალფეროვნებას გაჩანაგება ელოდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ვ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად (ძალზე პრონციპული და საკვანძო საკითხია):

„ვ) ტყის უზენესათვის კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული კატეგორიების დაზუსტება და კორექტირება“.

### 33. მუხლი 25. ტყეთმოწყობა

მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მე-6 პუნქტის თანახმად, „ტყის მართვის გეგმების შედგენის ვალდებულება არ ვრცელდება კერძო საკუთრებაში არსებულ ტყეზე, რომლის ფართობიც არ აღემატება 50 ჰექტარს.“ 50 ჰექტარი საქართველოს მასშტაბისათვის არ არის ცოტა. ამასთანავე, გააჩნია მართვის მიზანს და 50 ჰექტარზე ნაკლები ფართობების რაოდენობას და ურთიერთგანლაგებას. თუ კერძო მფლობელობაში ერთმანეთის სიახლოვეს მოხვდება დიდი რაოდენობით ტერიტორიები (თუნდაც თითოეულის ფართობი 50 ჰა-ს არ აღემატებოდეს), შესაძლებელია ამან გამოიწვიოს მნიშვნელოვანი კუმულაციური ეფექტი.

### 34. მუხლი 26. საქართველოს ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემა და მუხლი 27. ტყის მონიტორინგი

ეს ორი მუხლი ძალიან დამაბნეველია: ტყის მონიტორინგის სისტემა და ტყის მონიტორინგი სხვადასხვა ინსტრუმენტია?

### 35. მუხლი 27. ტყის მონიტორინგი

ამ მუხლის შინაარსი არ შეესაბამება ამავე ტერმინის - „ტყის მონიტორინგი“ განმარტებას (იხ. მუხლი 2, „ს“ ქვეპუნქტი).

### 36. მუხლი 28. ტყის სპეციალური გამოკვლევა.

ეს საკითხი - „ტყის სპეციალური გამოკვლევა“ გადმოტანილია 1999 წლის ტყის კოდექსიდან. ტყის კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დაშვებული იყო სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობა ტყეთმოწყობის განხორციელებამდე, „სპეციალური გამოკვლევებით წინა პერიოდის ტყეთმოწყობის მასალების ყოველწლიური კორექტირების საფუძველზე“. ეს ფორმულირება გამოყენებული იქნა ტყეთმოწყობის გარეშე ხანგრძლივადიანი ლიცენზიების გასაცემად 2006-2009 წლებში. ასეთი წესით ლიცენზიების გაცემამ ტყის დეგრადაცია გამოიწვია და მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანიც მიაყენა სახელმწიფოს (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაბამისი დასკვნის მიხედვით). წინამდებარე კანონპროექტის ჩანაწერიც შესაძლებელია ასეთი მანკიერი მიზნებისთვის იქნას გამოყენებული. ასეთი სახით „ტყის სპეციალური გამოკვლევის“ შემოტანა გამოყენებული იქნება სპონტანურად წარმოშობილი ამოცანების გადასაჭრელად - მაგალითად, რომელიმე კერძო სუბიექტისთვის, ან ე.წ. „სოციალური მიზნებისთვის“ ტყის ჭრის უფლების მინიჭება, ტყის მართვის ორგანოს მიერ, კომერციული მიზნით ტყის ჭრების შეუფერხებლად და სწრაფად განხორციელება და ა.შ.

საგანგაშოა, რომ ასეთ „სპეციალურ გამოკვლევას“, მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ატარებს ტყითსარგებლობით დაინტერესებული ტყის მართვის ორგანი. ასეთი რეგულაციის დაკანონება ნიშნავს, რომ კვლავ გაგრძელდება ქაოტური ტყითსარგებლობა. კანონპროექტის ეს ნაწილი ვერ პასუხობს „ეროვნული სატყეო კონცეფციაში“ და „ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედე დებათა გეგმაში“ დასახულ ამოცანებს.

ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია: „სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე შესაძლებელია შემუშავდეს მრავალწლიანი (არაუმეტეს 3 წლისა) პერსპექტიული გეგმა“. რა უშლის ხელს, რომ ეს ჩანაწერი არაკეთილსინდისიერად იქნას გამოყენებული და ამ სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ კიდევ 3-3 წლით, დაუსრულებლად არ გააგრძელონ მერქნის მოპოვება ნებისმიერ სასურველ ადგილას?

ამრიგად, ეს მუხლი შეიცავს კორუფციული, კონკრეტული პირების ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღების დიდ საშიშროებას. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეს სპეციალური გამოკვლევა გამოყენებული იქნას რესურსის მოპოვებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში არასოდეს არ ჩატარდება ტყეთმომწყობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ა) სპეციალური გამოკვლევა ტარდება მხოლოდ აღდგენა-გაშენებისა და ტყის დაცვის პროექტების შედგენისათვის, ასევე გამონაკლის შემთხვევებში - განსაკუთრებული სარგებლობისათვის.“, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტი საერთოდ ამოღებულ უნდა იქნეს.

ასევე ამოღებულ უნდა იქნას მე-2 პუნქტი.

#### **თავი IV ტყით საერთო სარგებლობა.**

#### **37. მუხლი 30. ტყეში შესვლა და გადაადგილება**

ამ მუხლის პირველი პუნქტის პირველ და მეორე წინადადებას შორის არანაირი კავშირი არ არსებობს. მეორე წინადადების საჭიროება საერთოდ არ არსებობს და ამოღებულ უნდა იქნას.

#### **38. მუხლი 31. ტყეში შესვლის და გადაადგილების შეზღუდვის მოწესრიგება**

არ არის განსაზღვრული, თუ რა მექანიზმებით ხდება პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება და პრევენცია ამ მუხლით განსაზღვრული წესების დარღვევისათვის. ამის გარეშე ეს რეგულაცია მკვდრადშობილი იქნება. იგივე ეხება 32-ე, 33-ე და 34-ე მუხლებით განსაზღვრულ რეგულაციებსაც.

#### **39. მუხლი 34. ტყის რესურსის მოპოვება**

საერთო მოპოვებისათვის დაშვებულ რესურსებში არ შედის ადგილობრივი მოსახლეობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ტყის პროდუქტები/რესურსები, როგორცაა ჭიგო, სარი, წნელი და სხვ. რომელიც სრულიად აუცილებელია სოფელში მცხოვრები ადამიანებისათვის. ეს სორტიმენტი არ შედის არც იმ ჩამონათვალში, რომლით სარგებლობაც სპეციალური სარგებლობის ფორმით ხდება. არ არის სწორი, რომ ეს სორტიმენტი გათანაბრებული იყოს სამასალე მერქანთან. შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს კანონპროექტის 34-ე მუხლში და ასევე ტერმინების განმარტებაში დაემატოს ამ სორტიმენტის - ჭიგო, სარი, წნელი და სხვ. - განმარტება.

#### **40. მუხლი 35. ტყით საერთო სარგებლობის უფლების ფარგლები**

მე-2 პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია ტყით საერთო სარგებლობის უფლების მქონე პირის მიერ საკუთარი ინიციატივით ტყეში ინვაზიური და გენეტიკურად მოდიფიცირებული სახეობების დარგვა“. ამ ქმედებების განხორციელება უნდა გამოცხადებული იყოს უკანონოდ ყველა იურიდიული და ფიზიკური პირისათვის არა მხოლოდ „საკუთარი ინიციატივის“ შემთხვევაში იკრძალებოდეს.

#### **41. მუხლი 35. ტყით საერთო სარგებლობის უფლების ფარგლები**

ამ თავის მუხლებით განსაზღვრული სარგებლობის ფორმა არ არის დაკავშირებული ტყეების კატეგორიებთან (მუხლები 6, 7, 9, 10, 11). საჭიროა კანონპროექტში აისახოს კავშირი ტყეების კატეგორიებსა და სარგებლობის ფორმებს შორის. აღნიშნულის გამოსასწორებლად, 35-ე მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტი: 4) „ტყით საერთო სარგებლობა შეიძლება შეიზღუდოს კონკრეტული ტყის უბნის კატეგორიის ტყის მართვის მთავარი ამოცანიდან და დაცვის რეჟიმიდან გამომდინარე“.

#### **თავი V. ტყით სპეციალური სარგებლობა**

**42.** ტყითსარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება საზოგადოების ყოველგვარი წინასწარი ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გარეშე. საზოგადოების მონაწილეობის ასეთი დაბალი ხარისხი არ ყოფილა არც ერთი ხელისუფლების/კანონის მოქმედების პირობებში. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესი გამოიყენება მხოლოდ ტყის მართვის გეგმის დამტკიცებისას. აუცილებელია, რომ ამგვარი მიდგომა შეიცვალოს. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, კოდექსის პროექტის შემუშავებისას არ იქნა სათანადოდ შესწავლილი ტყის სექტორში არსებული პრობლემები, განაღობებული არსებული კვლევები და ეროვნული პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები („ეროვნული სატყეო კონცეფცია“ და „ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა“).

#### **43. მუხლი 36. ტყით სპეციალური სარგებლობის სახეები**

ამ მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, ეკოსისტემაზე ყველაზე მასშტაბური ზემოქმედების მქონე საქმიანობები - განსაკუთრებული მიზნით სარგებლობა - დასაშვებია დაცულ ტყეში და დაცვით ტყეში (გარდა წიაღის შესწავლა/მოპოვებისა), ხოლო საკურორტო და სარეკრეაციო ტყეში დასაშვებია ყველა სახის განსაკუთრებული მიზნით სარგებლობა, წიაღის შესწავლა/მოპოვების ჩათვლით. ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება მდგრადი გამოყენების პრინციპებს და ამ კატეგორიების დანიშნულებას.

#### **44. მუხლი 39. ტყითსარგებლობის განხორციელება დაგეგმვის საფუძველზე**

მე-3 პუნქტის თანახმად, „ტყითსარგებლობის დაგეგმვისას უპირატესობა ენიჭება გრძელვადიან ტყითსარგებლობას და კომპლექსურ ტყითსარგებლობას, რომლებიც ითვალისწინებს რამდენიმე სახის ტყითსარგებლობას ერთდროულად“. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს კომპლექსურ ტყითსარგებლობას, რომლებიც ერთდროულად ითვალისწინებს რამდენიმე სახის ტყითსარგებლობას, ზეწოლა ტყის ეკოსისტემაზე იზრდება. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ უნდა მიენიჭოს ამ ფორმას უპირატესობა.

#### **45. მუხლი 43. ტყის ფართობით სარგებლობის მიზნით აუქციონის ჩატარების წესი**

ამ მუხლის თანახმად, პირველი პუნქტი დამაბნეველია, გაუგებარია სპეციალური სარგებლობის რომელი სახეები იგულისხმება.

ეს პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. ამ კოდექსის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის გ), დ), ე), ვ), ზ), ქვეპუნქტებით დადგენილი სპეციალური სარგებლობის მიზნით სახელმწიფო ტყის ფართობის გაცემა ხდება ელექტრონული აუქციონის ჩატარების საფუძველზე, ხოლო განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობის მიზნით სახელმწიფო ტყის ფართობის გაცემა ხორციელდება პირდაპირი წესით, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მინიჭების გზით, უფლებამოსილი პირის მიერ“.

#### **46. მუხლი 43. ტყის ფართობით სარგებლობის მიზნით აუქციონის ჩატარების წესი**

ამ მუხლით განსაზღვრული ტყითსარგებლობის ფორმები (პლანტაციური მეურნეობის მოწყობა, სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა, სამონადირეო და სათევზო მეურნეობა, სარეკრეაციო მიზნებით სარგებლობა) შეიძლება დაკავშირებული იყოს ერთის მხრივ ტყის ეკოსისტემებზე/გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, ხოლო მეორეს მხრივ - მიწათსარგებლობის შეზღუდვებთან. ეკონომისტების ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ადგილი ექნება ე.წ. გარე ეფექტს (externality), რომელიც წარმოშობს კონფლიქტს, რომლის გადაჭრა ბაზრის წესებით არ ხდება. ამას ეწოდება „ბაზრის მარცხი“ (market failure). შესაბამისად, ელექტრონული აუქციონი არ არის ამ პრობლემის მოგვარების გზა. საზოგადოების ინტერესი (გარემოსდაცვითი ან მიწათსარგებლობის უფლების კუთხით) მდგომარეობს არა იმაში, თუ ვინ იყიდის და რა ფასად გარკვეულ სავარგულებს, არამედ იმაში, ამ სავარგულის აუქციონზე გატანა ხომ არ დააზარალებს მის გარემოსდაცვით ან სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს. ამრიგად, მთავარი გადაწყვეტილება - გავიდეს თუ არა ესა თუ ის ტყის ტერიტორია აუქციონზე მიიღება სრულიად გაუმჭვირვალედ, დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის გარეშე.

ამ მუხლით შემოთავაზებული რეგულირება მნიშვნელოვნად აუარესებს მოქმედი ტყის კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლებით, ასევე საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N 132 დადგენილებით (11.08.2009 N 142 და 31.10.2014 N 608 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) დადგენილ წესს, რომლის თანახმადაც, ტყითსარგებლობის აუქციონის გამოცხადებამდე, სალიცენზიოდ გასატანი ფართობების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით. კანონპროექტის შემოთავაზებული რედაქცია გვაბრუნებს 2006-2009 წლებში, როდესაც საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, გარემოსდაცვით, სოციალური და ეკონომიკური რისკების გათვალისწინების გარეშე, გაიცა ათეულობით გრძელვადიანი ხე-ტყის დამზადების ლიცენზია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის ანალოგიურად, 43-ე მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„ამ მუხლით განსაზღვრული აუქციონის გამოცხადებამდე ტყის მართვის ორგანო იწყებს საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას სპეციალური სარგებლობისათვის ფართობების შერჩევისა და სარგებლობის პირობების განსაზღვრის მიზნით; აღნიშნული ინფორმაცია განთავსდება ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოები უზრუნველყოფენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვას“.

#### **თავი VI ხე-ტყის დამზადება**

#### **47. მუხლი 44. ხე-ტყის დამზადების საფუძვლები**

წარმოდგენილი კანონპროექტით, კონსერვაციული თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კორომები (old growth forests) - მწიფე და მწიფეზე უხნესი კორომები, კვლავ განიხილებიან, როგორც მერქნული რესურსის მიღების ყველაზე მისაღები წყარო. ეს პრობლემა ჯერ კიდევ მითითებული იყო 2005 წელს დამტკიცებულ ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში (მთავრობის დადგენილება N 27, 19.02.2005) და დასახული იყო მისი აღმოფხვრის ამოცანა. ეს მიდგომა არ შეესაბამება ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს; არღვევს ტყის მდგრადი გამოყენების პრინციპს, რომლის თანახმადაც, ხე-ტყის დამზადება და სხვა სატყეო სამეურნეო სამუშაოები უნდა ითვალისწინებდნენ ტყის კორომის ბუნებრივი რეჟიმის შენარჩუნებას (პრინციპი „ბუნებასთან ახლოს“).

**48. მუხლი 46. სამეურნეო ჭრა.**

კანონპროექტის თანახმად, ტყეებში მერქნის მოპოვების მიზნით ტარდება პირწმინდა და ამორჩევითი სამეურნეო ჭრები. ამასთანავე, პირწმინდა ჭრა დაშვებულია კოლხეთის დაბლობის ტყეებში და პლანტაციურ მეურნეობაში. საქართველოს პირობებში პირწმინდა ჭრა შესაძლებელია დაშვებული იქნას მხოლოდ პლანტაციურ მეურნეობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. პირწმინდა ჭრა არის ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე არსებულ მერქნიან სახეობათა ხეების ერთდროული (პირწმინდა) მოჭრა. პირწმინდა ჭრა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ პლანტაციურ მეურნეობაში.

**49. მუხლი 50. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი**

კანონპროექტის 49-ე მუხლის თანახმად, ხე-ტყეს ამზადებს ტყის მართვის ორგანო. 50-ე მუხლის მიხედვით კი ტყის მართვის ორგანო ასევე გასცემს ხე-ტყის წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტს. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, როგორ უნდა გაკონტროლდეს ეს პროცესი, რომ თავიდან იქნას აცილებული ინტერესთა კონფლიქტი და კორუფციის შესაძლებლობა, თუნდაც გარდამავალ ეტაპზე.

**50. თავი IX ტყის სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა.**

ამ ტიპის სარგებლობაზე კანონპროექტით შემოთავაზებული გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი არამონაწილეობითი და გაუმჭვირვალეა. ტყის სარგებლობის ეს სახე მუდმივად იქნება რეგიონებში კორუფციისა და კონფლიქტის წყარო, თუ არ გაუმჯობესდება საჯაროობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი.

აქვე აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით ე.წ. „ტყის ფონდიდან“ ამორიცხულია ტყით დაუფარავი ტერიტორიები. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, თუ როგორ და რომელ ტერიტორიებზე იგეგმება ტყის სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა.

51. კანონპროექტში შემოთავაზებულია ტყის სარგებლობის შემდეგი ფორმები: ტყით საკურორტო, სარეკრეაციო, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა (თავი X), თევზის მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყით სარგებლობა (თავი XI), ცხოველთა თავშესაფრის, სანაშენის მოწყობის მიზნით ტყით სარგებლობა (თავი XII). ტყის სარგებლობის ეს ფორმები დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობითაც. სამინისტროდან მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, ამგვარი სარგებლობის მიზნით (ასევე კომპლექსური სარგებლობისთვის) სატყეო ფართობები არასოდეს გაცემულა. საჭიროა გაანალიზებული იქნას, თუ რა მიზეზებით არ არსებობს ამ ტიპის სარგებლობის მიმართ დაინტერესება და რა სიახლეს გვთავაზობს კანონპროექტი. სამწუხაროდ, კანონპროექტის ავტორებმა საჯარო განხილვებზე ეს კითხვა უპასუხოდ დატოვეს.

**52. თავი XI თევზის მეურნეობის და სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყით სარგებლობა**

აღნიშნული თავი საერთოდ არ განეკუთვნება ტყის კოდექსის სამართლებრივ სფეროს და ამოღებული უნდა იქნას კანონპროექტიდან.

53. თავი XV სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო მიზნით ტყით სარგებლობა. სარგებლობის ეს ფორმა უნდა მიკუთვნებული იქნას საერთო სარგებლობას. საერთოდ, გაუგებარია, რომელი საქმიანობა იგულისხმება



ამ თავით განსაზღვრულ ტყითსარგებლობაში (მუხლი 65. 1 „სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით ტყითსარგებლობა გულისხმობს ისეთ სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ტყის რესურსების გამოყენებასთან საქმიანობის მიზნებისათვის აუცილებელი მოცულობით და ფარგლებში ტყისთვის ზიანის მიუყენებლად“).

ასეთი გაუგებარი რეგულირება მხოლოდ ბიუროკრატიულ ბარიერებს შეუქმნის სამეცნიერო კვლევებს და სასწავლო მიზნების განხორციელებას.

**54. თავი XV ტყით განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა**

ტერმინ „განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობის“ ნაცვლად აქამდე კანონმდებლობაში გამოიყენებოდა „სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა“. ტყისა და სატყეო მიწების გამოყენების ეს ფორმა ტყის კოდექსის პირვანდელი რედაქციითაც (1999 წ.) იყო განსაზღვრული. ბოლო წლებში ამ საკითხის მარეგულირებელ კანონმდებლობაში უამრავი ცვლილება შევიდა, თუმცა ამ ცვლილებებმა ძალიან დაივიწყა: ამ სახის ტყითსარგებლობის შედეგად, ტყის განადგურებისა და დეგრადაციის ტენდენციამ გადააჭარბა ტრადიციულ საფრთხეებს (არამდგრადი ტყის ჭრა და მოვება). დღესდღეობით ეს საკითხი ტყის კოდექსითა (მუხლი 33) და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით (N242 20.08.2010) რეგულირდება<sup>10</sup>. ტყითსარგებლობის ეს ფორმა გამოიყენება იმ საქმიანობების განსახორციელებლად, რომელთა შედეგადაც ყველაზე მეტად ხდება ბიომრავალფეროვნების განადგურება და გარემოს დეგრადაცია: წიაღის მოპოვება, ელექტროსადგურების, ასევე მილსადენების, გზების და სხვა ხაზობრივი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ურბანული განვითარება და ა.შ. სამწუხაროდ, წარმოდგენილი კანონპროექტი ვერანაირ პრინციპულ სიახლეს ვერ გვთავაზობს.

**55. მუხლი 67. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობის მიზანი. 1. მუხლის ა) ქვეპუნქტი**

გაუგებარია როგორ განისაზღვრება არის თუ არა პროექტი სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის. ჰესის მშენებლობა ან წიაღის მოპოვება (განსხვავებით სასმელი წყლით მომარაგების ან გზის მშენებლობის პროექტებისგან) უმეტესწილად მნიშვნელოვანია მისი განმახორციელებელი კერძო პირისთვის, მისი ფინანსური ინტერესია, ხოლო სახელმწიფოებრივი ან საზოგადოება აქედან მინიმალურ სარგებელს იღებს.

კანონპროექტის ამ მუხლში უნდა განისაზღვროს პროექტი სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის კრიტერიუმი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მუდამ იქნება სპეკულაციებისა და კორუფციის წყარო.

**56. მუხლი 67. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობის მიზანი**

ამ მუხლში ჩამოთვლილი საქმიანობების ნაწილი არ საჭიროებს გარემოსდაცვით ნებართვას. გარემოსდაცვითი/ტყის ეკოსისტემაზე ზეგავლენის თვალსაზრისით პრობლემურია ის საქმიანობები, რომლებიც შედიან ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს წიაღის ღია კარიერული წესით მოპოვება 10 ჰექტარზე ნაკლებ ფართობზე, ან ნებისმიერი მოცულობით/ნებისმიერ ფართობზე ქვიშა-ხრმის მოპოვება (მათ შორის სამეურნეო და საკურორტო და სარეკრეაციო ტყეში - იხ. კანონპროექტის 36-ე მუხლის მე-ე პუნქტი), 50 ჰექტარზე მეტი ტყის გაჩეხა სხვა კატეგორიის მიწად გარდაქმნისა და გამოყენების მიზნით; დაცულ ტყეში შეიძლება დაშვებული იქნას 2

<sup>10</sup> ამ საკითხის დასარეგულირებლად, მთავრობის დადგენილებით (N 228, 01.06.2011) „ტყითსარგებლობის წესს“ (მთავრობის დადგენილება N242 20.08.2010) დაემატა თავი VI „სახელმწიფო ტყის ფონდით“ სპეციალური სარგებლობა“

მეგავატამდე ჰესის აშენება, 5 კილომეტრზე ნაკლები მილსადენის გაყვანა, 10000 მ<sup>3</sup>-ზე ნაკლები მოცულობის წყალსაცავის მშენებლობა. ეს ყოველივე შეიძლება განხორციელდეს გზშ-ს გარეშე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, ეკოსისტემების, ფლორისტული და ფაუნისტური კვლევების ჩაუტარებლად. ამრიგად, შემოთავაზებული რეგულირება არ ითვალისწინებს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებს. აშკარაა, რომ კანონპროექტის მომზადებისას არ იქნა გაანალიზებული ამ რეგულაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და მისი გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური შედეგები.

67-ე მუხლის მე-2 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. ტყით განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მართვის ორგანო. თუ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის საფუძველზე, მაშინ გადაწყვეტილება მიიღება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. ყველა სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება საჯარო ადმინისტრაციული წესით“.

**57. მუხლი 67. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყის სარგებლობის მიზანი**

მე-5 პუნქტში არასწორად არის ნახსენები „მე-4 ნაწილი“. უნდა იყოს „მე-2 ნაწილი“

**58. მუხლი 68. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყის სარგებლობის უფლების მინიჭებაზე გადაწყვეტილების მიღების საფუძველი**

მე-2 პუნქტიდან ამოსაღებია სიტყვები „პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის“.

**59. მუხლი 68. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყის სარგებლობის უფლების მინიჭებაზე გადაწყვეტილების მიღების საფუძველი**

**პუნქტი 2.**

გაუგებარია, რა იგულისხმება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მოთხოვნების დაკმაყოფილებაში. ტყის კოდექსის კანონპროექტთან ერთად წარმოდგენილია კანონპროექტი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. მის თანახმად, „მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შენიშვნა: თუ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა იმავდროულად საჭიროებს სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალურ სარგებლობას, ტყის განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური სარგებლობისთვის დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია გზშ-ის ანგარიშს დაურთოს სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები.“

ანუ რა გამოდის: ტყის კოდექსი და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ერთმანეთისკენ გადაამისამართებენ ტყის განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობისათვის განმცხადებელ პირს, მაგრამ არც ერთი არ განმარტავს, თუ რა დოკუმენტაცია, რა კვლევები უნდა წარმოადგინოს დაინტერესებულმა პირმა.

აუცილებელია თავიდან დაიწეროს თანამდევ კანონპროექტი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილებების შესახებ“. საქმიანობის განმახორციელებელი არა „უფლებამოსილი“ უნდა იყოს, რომ გზშ-ის ანგარიშს დაურთოს სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები, არამედ უნდა ჰქონდეს შესაბამისი ვალდებულება და ტყის განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური სარგებლობის საკითხი განხილული უნდა იქნას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

**60. მუხლი 68. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყის სარგებლობის უფლების მინიჭებაზე გადაწყვეტილების მიღების საფუძველი**

მე-3 პუნქტის თანახმად, „განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების პროცედურები დგინდება „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულებითა და „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებით“. არ არის განსაზღვრული პრინციპები, რომელზეც უნდა დაეფუძნონ ან პუნქტში ნახსენები დებულებები, რაც ამ პუნქტს უსარგებლოს ხდის.

**61. მუხლი 68. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მინიჭებაზე გადაწყვეტილების მიღების საფუძველი**

მე-4 პუნქტის მიხედვით, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყის სპეციალური სარგებლობის დროს მიყენებული ზიანი არ ექვემდებარება კომპენსაციას, თუ ტყითსარგებლობის ნებართვა გაცემულია ან საქმიანობა დაწყებულია ამ კოდექსის ამოქმედებამდე. ანუ ეს ნიშნავს, რომ თუ წიაღის მოპოვებელ კომპანია (მესტიამი, ონში, ჭიათურაში, თეთრ წყაროში, ბოლნისში, დმანისში გაცემული მანგანუმისა და ფერად ლითონების ლიცენზიების მფლობელები) ტყის პირწმინდა გაჩეხისთვის კომპენსაციას არ გადაიხდის. ასევე არ გადაიხდიან კომპენსაციას, მაგალითად არსებული ჰესების, მილსადენების და გადამცემი ხაზებისათვის წარმოებული რეგულარული ჭრების გამო. აღნიშნული რეგულაცია ეწინააღმდეგება საყოველთაო გარემოსდაცვით პრინციპს „დამბინძურებელი იხდის“, რომელიც გარემოსდაცვითი სამართლის საფუძველს წარმოადგენს.

ჩნდება ეჭვი, რომ მუხლი ამ სახით წარმოდგენილია სხვადასხვა დაინტერესებული ფინანსური ჯგუფების ზეწოლის შედეგად.

**62. XV თავში** ზოგჯერ გამოყენებულია ტერმინი „განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობა“, ზოგჯერ კი - „განსაკუთრებული დანიშნულებით ტყის სპეციალური სარგებლობა“. ეს უკანასკნელი ტერმინია გამოყენებული თანდართულ კანონპროექტში „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა არჩევანი რომელიმე ერთზე გაკეთდეს.

**თავი XVI ტყის დაცვა**

**63. მუხლი 69. საქართველოს ტყის დაცვის მიზანი**

პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ა) საქართველოს ტყეებში ეკოლოგიური წონასწორობის მიღწევა და შენარჩუნება“

*განმარტება:* „ეკოლოგიური წონასწორობის გაუმჯობესება“ - როგორც ეს კანონპროექტში წერია, არაფერს არ ნიშნავს, არც სამეცნიერო, არც მენეჯმენტის თვალსაზრისით და არც გრამატიკულად.

**64. მუხლი 69. საქართველოს ტყის დაცვის მიზანი**

პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ ტყის დაცვის მიზანია „ნიადაგის ეროზიის, დაჭაობების, ღვარცოფების, ზვავებისა და სხვა ისეთი პროცესების თავიდან აცილება, რომლებიც აუარესებს ნიადაგის მდგომარეობას“.

გაუგებარია, როგორ უნდა დაიცვას ტყე ტყის მართვის ორგანომ ან სამინისტრომ ზვავისგან და სხვა ბუნებრივი სტიქიური მოვლენებისგან. სავარაუდოდ, იგულისხმება ის, რომ ადამიანის საქმიანობამ არ უნდა გამოიწვიოს ნიადაგის ეროზია, დაჭაობება, ღვარცოფები, ზვავები და სხვა ისეთი პროცესები, რომლებიც აუარესებენ ნიადაგის მდგომარეობას.

**65. მუხლი 69. საქართველოს ტყის დაცვის მიზანი**

პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„გ) ბუნებრივი ტყეების თვითმყოფადობისა და ბუნებრივი პროცესების შენარჩუნება“;

ყველა ბუნებრივი ტყის თვითმყოფადობის (ბუნებრიობის) შენარჩუნება წარმოადგენს ტყის მდგრადი მართვის ამოცანას და არა მხოლოდ „ხელუხლებელი ტყეების“, რომელიც საქართველო ტყის ფართობის დაახლოებით 17%-ს შეადგენს (წყარო: Global Forest watch).

**66. მუხლი 69. საქართველოს ტყის დაცვის მიზანი**

**პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

„დ) რელიქტური, ენდემური და იშვიათი სახეობებისა და ჰაბიტატების და ჰაბიტატური უბნების დაცვა.“

საქმე ისაა, რომ ტყის დაცვის უზრუნველყოფა შეუძლებელია მხოლოდ მცენარეთა სახეობების დაცვით. ტყის დაცვისა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისათვის, აუცილებელია მაგალითად, სოკოების, მწერების სხვადასხვა ჯგუფის, ფრინველების დაცვა. ამავდროულად, ხეები/ტყე წარმოადგენს მათ ჰაბიტატს.

**67. მუხლი 71. ტყის განადგურების დაუშვებლობა**

ეს მუხლი წინააღმდეგობაში მოდის XV თავთან „ტყით განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა“ . „ტყით განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა“ თავისი არსით არის ტყის განადგურება.

**68. მუხლი 71. ტყის განადგურების დაუშვებლობა**

ძნელი სათქმელია, რა შინაარსის მატარებელია ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, რომელიც მიხედვითაც, „ტყის განადგურებად ითვლება ქმედება, რომელიც დაუცველს ხდის ხეების ზრდას ისეთი ფართოდ გავრცელებული საფრთხეების ზემოქმედებისგან, როგორებიცაა ქარი, ხანძარი, ბიოლოგიური და ქიმიური პრეპარატების გამოყენება, ტყის მავნებელ-დაავადებების გავრცელება და ნებისმიერი დაზიანება“.

**თავი XVII ტყის აღდგენა-გაშენება**

**69. მუხლი 74. ტყის აღდგენა-გაშენების მიზანი**

ტყის-აღდგენა გაშენების მიზანი არ შეიძლება იყოს „სახეობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება“. ეს არის საბჭოთა დროის მიდგომა - „ბუნების გაუმჯობესება“, რომლის გამოყენებითაც ხდებოდა მცენარეთა და ცხოველთა ინვაზიური სახეობების გავრცელება ბუნებაში და რასაც არაერთი ეკოლოგიური კატასტროფა მოჰყვა. ასევე არ შეიძლება ბუნებრივად ტყით დაუფარავ ტერიტორიებზე ტყის გაშენებამ შესაძლოა ბუნებრივი ეკოლოგიური პროცესებში უხეშ ჩარევას წარმოადგენდეს.

1-ლი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. ტყის აღდგენა-გაშენება არის სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა მრავალწლიანი ციკლი, რომლის მიზანია ნიადაგის დაცვა ქარისმიერი, წყლისმიერი და სხვა ეროზიული პროცესებისგან, აგრეთვე ტყის პროდუქტიულობის, დაცვითი და სხვა სასარგებლო ფუნქციების გაუმჯობესება.“

**70. მუხლი 75. ტყის აღდგენა-გაშენების დაგეგმვა და განხორციელება**

ამ მუხლს უნდა დაემატოს პუნქტი, რომლითაც ცალსახად იკრძალება აღდგენა-გაშენების დროს არაადგილობრივი, ინვაზიური სახეობებისა და გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენება.

**თავი XVIII ტყის მოვლა**

**71. მუხლი 77. ტყის მოვლა და მისი მიზანი**

ამ მუხლს უნდა დაემატოს პუნქტი, სადაც განისაზღვრება, რომ ამ თავში მოცემული ღონისძიებები და ტყის მართვის ფორმები შესაძლებელი გამოყენებული იქნას მხოლოდ სამეურნეო ტყის კატეგორიისთვის.

**72. მუხლი 77. ტყის მოვლა და მისი მიზანი**

1-ლი პუნქტი, „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული „ტყის სახეობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება“ ეწინააღმდეგება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს და ამოღებული უნდა იქნას კანონპროექტიდან.

73. 78-ე მუხლით განსაზღვრულ ღონისძიებას ეწოდება „მოვლითი ჭრა“, 79-ე მუხლს ეწოდება „სანიტარიული ჭრა“, ხოლო თავად მუხლში საუბარია ღონისძიებაზე „მოვლითი სანიტარიული ჭრა“, მე-80 მუხლს სარეკონსტრუქციო ჭრა, ხოლო მუხლში საუბარია ღონისძიებაზე „მოვლითი სარეკონსტრუქციო ჭრა“. არსად არ წერია კოდექსში, რომ სანიტარიული და სარეკონსტრუქციო ჭრები წარმოადგენენ მოვლითი ჭრების ქვესახეობებს.

**74. მუხლი 79. სანიტარიული ჭრა.**

პუნქტი 2.

გაუგებარია, რა იგულისხმება ტერმინებში „განსაკუთრებული აუცილებლობა“ და „სათანადო დასაბუთება“. საჭიროა ცალსახად განიმარტოს, თუ ვინ უნდა დაამტკიცოს შემთხვევის განსაკუთრებულობა, რა ფორმით და რა ფორმით უნდა დაასაბუთოს.

75. თავები VI სამეურნეო ჭრით ხე-ტყის დამზადება, XVI ტყის დაცვა, XVIII ტყის მოვლა - ამოსაღებია ამ სახით კოდექსიდან. ეს საკითხები პრინციპების დონეზე უნდა იყოს კოდექსში (რაც არ არის) და დეტალები კი კანონქვემდებარე რეგულირებაში უნდა გადავიდეს. ამ თავებში კი ყველაფერი აღრეულია - მოცემულია დეტალები, ხოლო პრინციპები არ არის მოცემული.

**თავი XIX**

**მეტყველების სფეროში შესაბამისი აკადემიური და პროფესიული განათლება**

**76. მუხლი 86. სპეციალისტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

პირველი პუნქტის მიხედვით, მეტყვევე შეიძლება იყოს პირი, რომელსაც მეტყვევობის სფეროში მიღებული აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება (სულ მცირე ბაკალავრის აკადემიური ხარისხი). 87-ე მუხლით განსაზღვრული ნორმატიული აქტის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი გარემოება: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს (სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა (ბუნებათსარგებლობა (MSc), სატყეო მეცნიერება) სამაგისტრო პროგრამა) ენიჭებათ აკადემიური ხარისხი „მეცნიერების მაგისტრი ბუნებათსარგებლობაში (The Degree of Master of Science in Natural Resources)“, რაც არ აძლევთ საშუალებას იმუშაონ ეროვნულ სატყეო სააგენტოში, ვინაიდან დიპლომში არ წერია სიტყვა „მეტყვევ“. თუმცა მათ შეუძლიათ იმუშაონ დაცული ტერიტორიების სააგენტოში, გარემოს ეროვნულ სააგენტოში, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში. სავარაუდოდ, იგივე სიტუაციაა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამის „გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკა“ კურსდამთავრებულებთან დაკავშირებით. ეროვნული სატყეო სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას სამსახურში აიყვანოს კვალიფიციური კადრები.

**თავი XX**

**მეტყვევისა და სატყეო საქმის სპეციალისტის დაცვის გარანტიები**

77. ამ თავის სათაური უნდა იყოს „მეტყვევისა და სატყეო საქმის სპეციალისტის სოციალური დაცვის გარანტიები“

**78. მუხლი 89. ტყის სფეროში დასაქმებულ პირთა სტიმულირება**

ამ მუხლით განსაზღვრული სტიმულირების ღონისძიებებს არაფერი აქვს საერთო არც დასაქმებულთა სოციალურ დაცვასთან და არც სტიმულირებასთან. ათი წლის წარმატებული მუშაობისთვის მხოლოდ სამკერდე ნიშნის მინიჭება არ მგონია, რომ კარგ სტიმულს წარმოადგენდეს ამ საქმიანობის გაგრძელებისათვის.

## თავი XXI

### გარდამავალი დებულებანი

#### 79. მუხლი 96. კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები/გამოსაცემი ნორმატიული აქტები

გარდამავალ დებულებებში მოხსენიებულ შესამუშავებელი ნორმატიული აქტებში არ გვხვდება ტყის მდგრადი მართვის პრინციპების განმსაზღვრელი ნორმატიული აქტი.

#### 78. მუხლი 97. კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

პირველი პუნქტის თანახმად, კოდექსის ამოქმედებამდე არსებული სახელმწიფო ტყის ფონდი მიიჩნევა სახელმწიფო ტყედ და ტყის მიწებად, რომლის საზღვრები დგინდება „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს #299 დადგენილებით“ .

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც არ აქცევს მთავრობა ყურადღებას:

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილების „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ტყის ფონდი მოიცავს მხოლოდ გუმისთის, ფსხუს, სკურჩის, რიწის, და ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალებს, რომლებსაც მართავს დაცული ტერიტორიების სააგენტო. შესაბამისად, კანონპროექტის მე-20 მუხლიდან ამოღებული უნდა იქნას „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა“, ვინაიდან საქართველოს მთავრობის ზემოხსენებული დადგენილებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამეურნეო ტყის ფონდი გაუქმებულია.

იგივე კანონქვემდებარე აქტში რჩება კურორტული საკითხები: შავი ზღვის ნაწილი (რომელიც კოლხეთის ეროვნულ პარკში შედის) ისევე როგორც ჯავახეთის ტბები, მიკუთვნებულია სახელმწიფო ტყის ფონდზე.

\*\*\*\*\*

სამწუხაროდ, მიუხედავად საკითხის აქტუალობისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ვერ უზრუნველყო კანონპროექტთან დაკავშირებით დაინტერესებული მოქალაქეების, ექსპერტების, სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციების სრულფასოვანი მონაწილეობა და ბოლო ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებთან განიხილავდა საკითხს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს პარლამენტში შედგება სრულფასოვანი განხილვები და დისკუსია და ახალი ტყის კოდექსი დამტკიცდება ზემოხსენებული ხარვეზების გამოსწორების შემდეგ.